# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 იანვარი 2007 №2 (2925) ფასი 50 თეთრი


# კიდევ ერთი ქართველი ვან გაალთან. ოღონდ: არველაძეს პრიმერა-პრემიერას სთავაზობენ

## ხვალ ცქიტიშვილს ალკმაარში ელიან



AFP

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ბერძნული „პანიონიოსის“ და ლევან ცქიტიშვილის გზები გაიყარა, დღეს კი იმას გეტყვით, რომ 30 წლის ცქიტიშვილს ჩინებული შანსი ეძლევა, ჰოლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ფეხბურთელი გახდეს.

ლევანს „პანიონიოსში“ თამაში, ფაქტობრივად, არ უწევდა, ხოლო კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებში შარშან ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ლუის ვან გაალის „ალკმაარს“...

ჰოლანდიის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა და „ალკმაარს“ შვებულება ხვალ უმთავრდება. ჰოდა, ვან გაალიც სწორედ ხვალ ელის ცქიტიშვილს, ვისაც რეკომენდაცია ალბათ გუნდის კაპიტანმა შოთა არველაძემაც გაუწია. ვან გაალს ახლა ძალიან სჭირდება ტექნიკური, ასე ვთქვათ, ბურთის დამჭერი ნახევარმცველი და ასეთად სწორედ ცქიტიშვილი მიიჩნევა.

ბუნდესლიგამოვლილ ცქიტიშვილს ეროვნულ ნაკრებში 42 მატჩი უთამაშია და 2 გოლი გაუტანია. თქმა არ უნდა, ასეთ გამოცდილ ფეხბურთელს გასასინჯად არავინ მიიწვევს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელს სურს, კარგად გაერკვეს, ამა თუ იმ პოზიციაზე როგორ გამოადგება ქართველი ნახევარმცველი.

ერთი სიტყვით, ცქიტიშვილი უეჭველად კონტრაქტის გასაფორმებლად არ მიდის ჰოლანდიაში, მაგრამ ფაქტია, რომ მისი „ალკმაარში“ ჩარიცხვა ძალიან რეალურია.

ამასობაში კი, ესპანური „ლევანტე“ ერთხელაც დაუკავშირდა არველაძეს და „ალკმაარის“ ქართველი ლიდერი ვალენსიელთა წინადადებას დათანხმდა — ძალიან დიდი შანსია, მომავალ სეზონში შოთამ „ლევანტეს“ მაისურა მოირგოს.

დავით თავართქილაძე

## ლევანტემ შოთა დაიყაბულა





AFP

## ქართველები უეფაშიც მიშას დაიძახებენ
### ახალკაცი ახალი კაცისკენ, ბრაზილია საქართველოსკენ

## რალი დაკარი-სიკვდილი
### უდაბნო სისხლით ვერ გაძღა



ურთულესი და უსაშინლესი „რალი დაკარი“ არც წლეულსაა უმსხვერპლო. ორი ევროპული ეტაპის შემდეგ ავტო-მოტოქარავანმა მაროკოში გადაინაცვლა და უკვე მეორე აფრიკულ ეტაპზე სასიკვდილოდ დაშავდა სამხრეთაფრიკელი მოტომრბოლი ელმერ სიმონსი. 29 წლის სპორტსმენმა დიდი სისწრაფით მავალი KTM უდაბნოს უგზოობაში ველარ დაიმორჩილა და...

დახმარების ვერტმფრენი ავარიის ადგილზე მალევე კი დაეშვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — მოტომრბოლის გადარჩენა ველარ მოხერხდა. დაკარის რალის 29-წლიან ისტორიაში ეს 47-ე ტრაგიკული შემთხვევაა.



ლონდონელმა ჟულიო ბაპტისტამ პოკერი გაშალა და პენალტიც ვერ გაიტანა

## ლივერპულმა და არსენალმა ჰოკეი ითამაშეს 3:6 ენფილდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ჯობია ფრანგი შვედს?!

## საქართველოსთვის პრეზიდენტი მიშელ პლატინი იქნება




გაჩო კოთილაძის ფოტო

**უეფას** საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ხმას ფრანგ მიშელ პლატინის მისცემს.

ეს კულუარული ამბავი გუშინ შევიტყვეთ, თუმცა ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა დადასტურებისგან თავი შეიკავა, უახლოეს დღეებში კი, ამას ალბათ ხმამაღლა იტყვის.

უეფას ამჟამინდელ პრეზიდენტს, შვედ ლენარტ იუჰანსონს, რომელიც უკვე მეჩვიდმეტე წელიწადია, ამ პოსტზეა, არჩევნებში ერთადერთი კონკურენტი ჰყავს — მიშელ პლატინი, ვისაც უკვე რა ხანია, პრეზიდენტობა სურს და წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ეტაპზე თბილისშიც გახლდათ. მაშინ მას ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მასპინძლობდა, რომელიც ახლა სწორედ პლატინის გვერდითაა და მის საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდაში აქტიურად მონაწილეობს.

როგორც ჩანს, მიშელ პლატინიმ ქართული ფეხბურთის დღევანდელ ხელმძღვანელთა გულებიც მოიგო.

პლატინი ადრევე იყო პატარა ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის დიდი მხარდამჭერი და ეტყობა, ამით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა, სხვა ბევრი მომხრეც შეიმატა.

უეფას პრეზიდენტობის სურვილი ადრე გერმანელმა ფრანც ბეკენბაუერმაც გამოთქვა, თუმცა მან, ვისაც პლატინისგან რადიკალურად განსხვავებული პროგრამა ჰქონდა, რამდენიმე თვის წინ გადაიფიქრა და სარბიელი იუჰანსონსა და ლეგენდარულ ფრანგს დაუთმო.

ვნახოთ, რა როგორ იქნება. უეფას კონგრესი და საპრეზიდენტო არჩევნები 25-26 იანვარს გერმანულ დიუსელდორფში გაიმართება.

საფეხბურთო სამყაროში იუჰანსონისა და პლატინის გამარჯვების შანსებს ჯერჯერობით თანაბრად აფასებენ.

**კობა ინასარიძე**




# სიხარულო და სიქადულო ჩვენო

## ერთი გოლი და რამდენი გული!

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი ვინ არისო, რომ იკითხოთ, ფეხბურთში მთლად გაუგებარის გარდა ყველა ვიპასუხებთ.

13 მაისის ის ულამაზესი, საქართველოს სიხარულით გადამრევი და სხვაც მრავალი გოლი. გარდა ამისა, ვინ მოთვლის, ამ კაცს, მოედანზე თუ მის გარეთ, კიდევ რამდენჯერ გაუხარებია უამრავი გული.

ოჩამჩირეში დაბადებული ვუნდერკინდის ცხოვრება შუა საქართველოში, რიკოთის უღელტეხილთან შეწყდა. მდინარემ წაიღო ქართული ფეხბურთის დიდი კაცის სიცოცხლე, ოღონდ ვერ წაიღო სრულიად ქართველთა უდიდესი სიხარულის წამი, წამი, რომელიც მთელ ჩვენ ფეხბურთს და ერსაც დღემდე აცოცხლებს და იმედით ავსებს.

თბილისის „დინამო“ და საბჭოთა კავშირის ნაკრები, დიდი ფეხბურთელი და კეთილი კაცი...

გუშინ ვიტალი დარასელიას 50 წელი შეუსრულდებოდა...







# ლევანტე და არველაძე ერთმანეთს მიუახლოვდნენ

## საქმეში თურქიც ჩაერია

## ყენია მშობლების ვიზებს ელის

**ესპანური** პრიმერადივიზიონის „ლევანტე“ შოთა არველაძეს არა და არ ეშვება — საქართველოს ეროვნული ნაკრების და ჰოლანდიური „ალკმაარის“ მეგოლის „ლევანტეში“ ტრანსფერი ამ დღეებში გამართული მოლაპარაკებებით ძალიან რეალური გახდა.

„ლევანტე“ შარშან ალზევდა სეგუნდადივიზიონიდან პრიმერადივიზიონში და მაშინვე დაუკავშირდა ჩვენებურს. ვალენსიელებმა არველაძეს „ალკმაარზე“ უკეთესი პირობები შესთავაზეს, მაგრამ შოთამ მაინც ლუის ვან გაალის „ალკმაარში“ ამჯობინა კარიერის გაგრძელება და კლუბთან 2008 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

ამ ყველაფრის შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელი იყო „ლევანტეს“ ხელმეორე შეთავაზება, მაგრამ ვალენსიელებს კვლავაც სურთ 33 წლის არველაძე — საახალწლო დღეებში „ლევანტე“ ერთხელაც შეეხმიანა ჩვენებურს. თუ მანამდე ვალენსიელები არველაძის აგენტ ივან ბენეშთან იჭერდნენ საქმეს, ამჯერად მოლაპარაკებაში ბენეშთან ერთად ჩვენთვის კარგად ნაცნობი თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუც ჩაერთო.

ჰოდა, ამჯერად ვითარება ასეთია — არველაძე არ უარობს „ლევანტეში“ გადასვლას, მაგრამ სეზონს „ალკმაარში“ ჩაამთავრებს. ისიც სავსებით შესაძლებელია, არველაძემ ახლავე მოაწეროს ხელი „ლევანტესთან“ კონტრაქტს და მომავალი სეზონიდან გადაბარგდეს ვალენსიურ კლუბში.

„ლევანტე“ ახლა ოცგუნდა პრიმერადივიზიონზე მე-16 ადგილზეა და არგავარდნისთვის იბრძვის.

მოკლედ, მოლაპარაკებები გრძელდება...

ამასობაში კი, 16 წლის ლევან ყენიას „ლევანტეში“ გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია, თუმცა ქართველი შემტევი ჯერაც თბილისშია და „ლოკომოტივთან“ ერთად ვარჯიშობს, ვალენსიაში გამგზავრება კი იმად უგვიანდება, რომ ლევანის მშობლები ვიზებს ელიან.

როგორც შევიტყვეთ, ვიზების პრობლემა თვის ბოლომდე მოგვარდება და ყენიაც მაშინ ჩავა „ლევანტეში“, სადაც თავიდან 1988 წელს დაბადებულთა გუნდში ითამაშებს. არასრულწლოვანობის გამო, ლევანთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება ვერ ხერხდება, თუმცა არსებობს სხვა გზებიც — კერძოდ, თუ ფეხბურთელს ბევრი ამხანაგური მატჩი ექნება ნათამაშები კლუბში და სისტემატურად იძახებენ ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებში.

**დავით თავართქილაძე**

# ბრაზილიამდე დარჩა ერთი ევროშეხვედრა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ამ თვის ბოლოს ბრაზილიელ კოლეგებს შეხვდება და საბოლოოდ მოილაპარაკებს ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე. ამჟამად ამ შეხვედრის ადგილზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ბრაზილიელების სურვილია, ქართულ მხარესთან მოსალაპარაკებლად რომელიმე დასავლეთევროპულ ქვეყანაში დასხდნენ, რაც ჩვენებისთვისაც მისაღებია, 25-26 იანვარს ხომ გერმანიაში უეფას კონგრესი გაიმართება და ფედერაციის ჩინოსნებიც იქ იქნებიან.

ამასობაში კი, ბრაზილიელებმა უარით გაისტუმრეს 22 აგვისტოს მათთან თამაშის რამდენიმე მსურველი. სამხრეთამერიკელების თქმით, მათ საქართველოსთან აქვთ მოლაპარაკება ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე, რომლის სავარაუდო თარიღიც სწორედ 22 აგვისტოა.

მოკლედ, უეფას კონგრესის შემდეგ საბოლოოდ გაირკვევა, შედგება თუ არა საქართველო — ბრაზილიის მატჩი. ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირასთან და მის თანამშრომლებთან ჩვენების შეხვედრამდე კი ამ საქმეს კარგი პირი უჩანს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე მოლაპარაკებას აგრძელებს არგენტინელებთანაც. ეს თამაში თუ შედგება, შედგება თბილისში, 12 სექტემბერს. ამ ამბავს უკვე რა ხანია, ფიფას ოფიციალური ვებგვერდიც იუწყება, თუმცა საბოლოო შეთანხმებამდე ქართველებსა და სამხრეთამერიკელებს კიდევ ბევრი საკითხი აქვთ მოსაგვარებელი. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ცხადია, ეროვნული გუნდის მწვრთნელის კლაუს ტოპმოლერის სიტყვა იქნება — საქართველომ ხომ 8 სექტემბერს ევროშესარჩევ მატჩში უკრაინას უნდა უმასპინძლოს და რამდენად წაადგება ტოპმოლერის გუნდს ოთხ დღეში არგენტინელებთან გაჯიბრება, ძნელი სათქმელია.

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი

გრიმსბი 0:2 ჩესტერი

ასოციაციის თასი. 1/32 ფინალი

ბარნეტი 2:1 კოლჩესტერი
რედინგი 3:2 ბარნლი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ლივერპული 3:6 არსენალი

LDV VANS TROPHY. 1/4 ფინალი

ბრისტოლი — ბრაიტონი გადაიდო
დონკასტერი 2:0 დარლინგტონი
შრიუსბერი — როვერსი გადაიდო

### იტალია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

ემპოლი 0:2 ინტერი

### ესპანეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩი

ატლეტიკო 1:1 ოსასუნა

### EFES PILSEN CUP

ნახევარფინალი

ფეიენოორდი 2:1 გალათასარაი

# მტკივა!

## გოგა გახოკიძე ფეხბურთიდან დაწყვეტილი კუნთით, ნერვით და გულით წავიდა



1993 წელი იყო, სპორტის სასახლეში „ბენდელას თასზე“ რუსთავის „მეტალურგში“ ერთი 18 წლის ბიჭი თამაშობდა და დარბაზში ყველას ტაშს სტყუებდა. მაშინ ამბობდნენ, ნახეთ, ამან მაგარი ფეხბურთი თუ არ ითამაშოსო...

იმ დროს გამოცდილი მოთამაშეებით სავსე იყო „მეტალურგი“, მაგრამ ეს 18 წლის ბიჭი მათ ფონზე სულაც არ იჩრდილებოდა: ცოტა მორიდება ეტყობოდა, თორემ თამაშით, ნუ იტყვით...

პირველად მაშინ დამამახსოვრდა გოგა გახოკიძე და მეორედ კი მაშინ, ფოთის „კოლხეთი“ ინტერტოტოს თასზე ფრანგულ „გენგამს“ რომ შეხვდა და გოგა ლამის მარტო ებრძოდა მეტოქეს, შეიძლება ითქვას, ბურთს ვერ ართმევდნენ... და ბიჭმაც მხრები გაშალა, უკვე აშკარად გადაზრდილი იყო საქართველოს ჩემპიონატისთვის და მალე უცხოეთის გზას დაადგა — ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გოგამ პირველივე სეზონში ლაღად ითამაშა, ეროვნული ნაკრების კარიც შეაღო და მას შემდეგ გახოკიძის გარეშე ჩვენი ნაკრები წარმოუდგენელიც კი ჩანდა...

აქ ცოტა ხნით შევჩერდეთ: გახოკიძეზე ნამდვილად ვერ იტყოდი, ნაკრების ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყოო, ხშირად ტრავმიანობდა და ვინ დათვლის, რამდენი მნიშვნელოვანი მატჩი გამოტოვა... ათ წელიწადში 19 სანაკრებო მატჩი ცოტა კი არა, ძალიან ცოტაა მისი ნიჭის მქონე ფეხბურთელისთვის.

ეს ამ ბოლო ხანსაა, ფეხბურთელების პასპორტში რომ აღარ იყურებიან, თორემ 80-იან წლებშიც კი 30-ს რომ გადააბიჯებდნენ და ერთ თამაშს ჩააგდებდნენ, უმალ იტყოდნენ ხოლმე, დაბერდაო. ახლა? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, „სიბერის“ წლებში რომ უფრო მძლავრად ათამაშებულა...

გახოკიძე კი სიბერის გამო არ დამშვიდობებია ფეხბურთს, 31 წლისას ტრავმები მანამდეც ხომ არ აკლდა და ბოლო ორი წელიწადია, მთლად დარია ხელი. გოგამაც ითმინა, ითმინა და... ხელი ჩაიქნია...

ტრავმებსაც რომ თავი დავანებოთ, გოგას კარიერაში სხვა უსიამოვნო ამბებიც ყოფილა, მაგრამ მისი ასეთი სევდიანი ინტერვიუ, გუშინ „სარბიელს“ რომ მისცა, ალბათ, არასოდეს გვინახავს...

— ნერვები კიდევ თუ შემრჩებოდა, არ მეგონა. სამწუხაროდ, სხვა გზა აღარ დამრჩა, ტრავმებმა გამაწამა და ყველაფერი მომაბეზრებელი გახდა. ძალიან ძნელია, როცა ვარჯიშობ, თავს იკლავ და იცი, რომ დიდი შანსია, ისევ უეცრად დაგეწყოს ტკივილები.

**— დაახლოებით ორი თვის წინაც გვითხარი, ალბათ, ფეხბურთს თავს დავანებებო. ამ დღეებში საბოლოოდ რამ გადაგაწყვეტინა?**

— ყველაზე დიდი კოშმარი თვენახევრის წინ იყო, როცა კარგა ხანს ვიმუშვებდი ტრავმას და მეგონა, მოვირჩინე, მაგრამ ვარჯიშზე ისევ შემაწუხა და ათი დღე ველარ გავიარე. ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება — ახლა ვიგრძენი, რა ყოფილა საყვარელი საქმისთვის თავის დანებება.

**— „ტვენტეში“ როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?**

— თბილად დავშორდით ერთმანეთს. მწვრთნელმა ფრედ რუტენმა მითხრა, შენი მდგომარეობა კარგად მესმის, მეც ახალგაზრდა, 29 წლისა გამოვეთხოვე ფეხბურთსო. ესეც დაამატა, ერთმანეთის გულშემატკივრებად დავრჩეთო.

**— არადა, „ტვენტეში“ ბოლო ხანს კმაყოფილი არ იყავი, სხვა კლუბში გადასვლა გინდოდა...**

— პირველ რიგში, „ტვენტეს“ ექიმებით ვიყავი უკმაყოფილო, ძალიან სუსტები არიან და ამას ჩემი თანაგუნდელებიც უჩიოდნენ. რასაც ექიმები მეუბნებოდნენ, ყველაფერს ვაკეთებდი, მაგრამ მაინც არაფერი მშველოდა, თანაც ზუსტ დიაგნოზსაც ვერ მისვამდნენ. მიუხედავად პრობლემებისა, „ტვენტეში“ ყველას თბილად დავშორდი.

*...აქ გოგამ ერთიც გაგვიმხილა: სადღაც ერთ პროცენტს მაინც ვიტოვებ, რომ ფეხბურთს დავუბრუნდე, დიდი ხანია, აღარ მივარჯიშია და ორ დღეში გაპირებ განახლებას, ჩემთვის მსუბუქად ვივარჯიშებო.*

**— ოჯახის წევრები და მეგობრები ალბათ ბევრს გიჩიჩინებენ...**

— ყველა მეუბნება, სცადე, ივარჯიშე და იქნებ... ეჰ, ჩემზე მეტად ვის უნდა, რომ ვითამაშო, მაგრამ... ნერვები არ მყოფნის...

**— საქართველოს ჩემპიონატში იმდენი დატვირთვები არ არის და იქნებ აქ გეცადა...**

— ეგ არც მიფიქრია... თუ თამაშობ, ასი პროცენტით უნდა დაიხარჯო, ნახევარი დატვირთვით თამაში არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ყველა ჩემპიონატს პატივი უნდა სცე და გუნდისთვის ბოლომდე უნდა დადო თავი. მზად რომ ვყოფილიყავი, კარგი ევროპული კლუბის მოძებნაც არ გამიჭირდებოდა.

**— ჰოლანდიაში როდემდე რჩები?**

— რაღაც საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, თანაც ჩემი შვილი სკოლაში დადის და ჯერ ვერ ჩამოვდივარ საქართველოში. ერთი-ორი თვე აქ ვიქნები.

*გახოკიძის სანაკრებო კარიერაში ბევრი „აღი-ჩადი“ ყოფილა, ნათელთან ერთად მუქსაც გაიხსენებს კაცი და თვალწინ 2003 წელი და ტირანა წარმოუდგება, როცა სათადარიგოთა სკამზე მჯდომს ნაკრებ-ფედერაციის თავკაც მერაბ ჟორდანიასთან შელაპარაკება მოუვიდა...*

*„ის კადრები გულშემატკივარმა ნახა და აღარ მინდა გახსენება“ — გვითხრა გოგამ.*

**— კეთილი. ფეხბურთელის კარიერას მორჩი, მაგრამ ალბათ ფეხბურთში აპირებ დარჩენას. მწვრთნელობა?**

— ფეხბურთში აუცილებლად დავრჩები, მაგრამ მწვრთნელობაზე რა გითხრათ... არა, ეს ალბათ გამორიცხულია, ძლიერ ნერვებს მოითხოვს — პატარა წარუმატებლობა და მწვრთნელზე ხელის შეხოცვა ერთია.

**— ბევრ მწვრთნელთან გიმუშავია და მათ შორის საუკეთესოდ ვის მიიჩნევ?**

— ალბათ არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ გაუვლია იმდენი მწვრთნელის ხელში, რამდენშიც მე. ყველაზე კარგად ერიკ გერეტსთან ვგრძნობდი თავს. პსვ-ში საუკეთესო სეზონი მისი თავკაცობისას ჩავატარე. ისე კი, ვისთანაც შეხება მქონია, უძლიერესი გუს ჰიდინკი იყო. იცით, რა განსხვავებაა გერეტსსა და ჰიდინკს შორის? ეგებ გერეტსი არანაკლებ მცოდნეა, მაგრამ ემოციური და კონფლიქტურია, ჰიდინკს კი ნერვი არა აქვს, ყოველთვის იცის, ამა თუ იმ ფეხბურთელს როგორ უნდა მიუდგეს. გერეტსის ხელში პსვ ორჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, მაგრამ ფეხბურთელებთან ცუდი ურთიერთობის გამო გაუშვეს, ჰიდინკი კი სიდინჯის განსახიერებაა.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა გინანია...**

— ვლადიკავკაზის „ალანიაში“ რომ ვიყავი, კიევის „დინამო“ დაინტერესდა ჩემით. კიევში ჩავედი, ვალერი ლობანოვსკისაც შევხვდი და თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო, მაგრამ ვალერი გაზაევმა არ გამიშვა, ყველანაირად შეუშალა ხელი ტრანსფერს. იმ დროს კიევში კალაძე, შევჩენკო და რებროვი თამაშობდნენ და ვინ იცის, უკეთ წასულიყო ჩემი კარიერა, ვიდრე პსვ-ში და ჰოლანდიაში, იმდენი ვერ გავაკეთე, რასაც ველოდი, თუმცა ეს ახლა ჩანს ასე — მაშინ ჩემს ადგილზე ყველა პსვ-ში გადასვლას ამჯობინებდა...

**— როცა ჯანზე იყავი, პსვ-შიც კარგად თამაშობდი...**

— პსვ-შიც და „ტვენტეშიც“ თითო სეზონი მართლაც კარგად ჩავატარე, სამივე პასებში ჰოლანდიის ჩემპიონატში საუკეთესოც გავხდი. „ალანიაშიც“ ჯანზე ვიყავი, მაგრამ, რაც მართალია, მართალია — ტრავმებმა გამაწამა, ზედიზედ რამდენიმე თამაშის ჩატარება პრობლემად მიხდებოდა. ფორმას ავკრეფდი თუ არა, ტკივილები მაწუხებდა... ასე მეორდებოდა მუდამ...

**— საქართველოს ნაკრებში ნათამაშევიდან რომელს გამოარჩევ?**

— გოლები იტალიასთან და უკრაინასთან შევაგდე, ორივე ლამაზი გამოვიდა. ისე კი, ალბათ, რუსეთთან ამხანაგურ და პოლონეთთან შინ 3:0 მოგებულ მატჩებში ვითამაშე ყველაზე კარგად.

*მოკლედ, ამიერიდან გოგას დრიბლინგი და მძლავრი ცაცია საქართველოს ნაკრებს ველარ დაეხმარება. ის გაორებული გრძნობით ემშვიდობება ფეხბურთს — ფეხბურთმა ბევრი მომცა, უამრავი კარგი ადამიანი გავიცანი, მაგრამ... ტრავმები რომ არა, გაცილებით კარგ კარიერას ავიწყობდიო...*

*ახლა კი გახოკიძეს სხვა ოცნება აქვს — ჩემი შვილი ოთხი წლისა ბლეჯა, ის აუცილებლად ივლის ფეხბურთში და ძალიან მინდა, რაც მე ვერ გავაკეთე და რაშიც უიღბლობამ შემაფერხა, მან ასრულოს და დიდი ფეხბურთი ითამაშოსო...*

ილია ნანობაშვილი



# ზაფხულში კუ-კუ

## დიდა, დიდა ანუ გივი, ჩვენა ვართ: ქოჯაელელებმა ამერელი იცნეს

**სასტუმრო** „ატლანტისის" პლაჟზე აბრაა, სასტუმროს მესვეურები ბოდიშს იხდიან, რომ ზაფხულის თვეებში დამსვენებლებს ხმამაღალი მუსიკით ვერ გაართობენ. მიზეზი მეტისმეტად უცნაურია: ზაფხულობით ამ პლაჟზე კარეტა-კარეტას ჯიშის კუები კვერცხებს დებენ და თურმე მათ ხმამაღალი მუსიკა არ სიამოვნებთ. კუს კვერცხების უსაფრთხოების მიზნით, პლაჟზე შეზლონგების გადაადგილებაც აკრძალულია.

საინტერესო საფეხბურთო ამბები კი აქ ზამთრობით ხდება, მაგალითად, დილით ხმელთაშუა ზღვის ჰაერის ჩასასუნთქად პლაჟზე გამოსულს, შესაძლოა, მიროსლავ კლოზემ ჩაგირბინოთ: ამერელი და ბრემენელი ფეხბურთელები დილაობით ერთდროულად გადიან მოთელვაზე.

„ვერდერი" ანთალიაში „ეფეს პილზენის" თასზე სათამაშოდ არის ჩამოსული, მეზობელ სასტუმროში ცხოვრობს და გუშინწინ ნახევარფინალში 4:0 მოუგო „ბეშიქთაშს".

ამ მატჩისთვის „ბეშიქთაში" „ამერთან" ერთად ემზადებოდა კადრიეს საფეხბურთო ცენტრში. ვარჯიშები „ამერს" და „ბეშიქთაშს" გვერდი-გვერდ მოედნებზე ჰქონდათ.

თურქული გუნდის „ვერდერთან" მატჩისწინა ვარჯიშზე კამერების ტევა არ იყო. „ბეშიქთაშის" საკლუბო ტელევიზია 5 კამერით იღებდა ვარჯიშს, ფოტოგრაფები კი ორი ამდენი იყვნენ.

ფოტოგრაფები „ამერის" ვარჯიშსაც არ აკლდნენ, ეს ქოჯაელელი ფოტოგრაფები იყვნენ, რომლებიც „ქოჯაელისფორის" ვარჯიშის გადასაღებად იყვნენ ჩამოსულები — „ქოჯაელისფორიც" კადრიეს ცენტრში ვარჯიშობდა.

„ამერში" გადმოსვლამდე ამ გუნდში გივი დიდავა თამაშობდა და რა გასაკვირია, რომ მისმა დანახვამ ქოჯაელელ ფოტოგრაფებს თავიანთი გუნდის ვარჯიშის გადაღება მიატოვებინა და ობიექტივები გივისკენ მიამართვინა. კლუბის ვიდეო-ოპერატორის თხოვნით კი, დიდავამ კამერის წინ ბურთიც აკენწლა, ხოლო ქოჯაელელი ფეხბურთელები „დიდა, დიდას" ძახილით მისცვივდნენ გივის და კარგა ხანს ესაუბრნენ.

აი, ასეთი ამბებია ანთალიაში...

**გიორგი დარჯანია ბელეკიდან**



# ორშაბათი იმედის დღეცაა

## ბათუმი ფულს და მომავალს ელის



ვიტალი დარჩიძე

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას „ბათუმი" რამდენიმე დღის წინ კი შეუდგა, მაგრამ კლუბში გაურკვეველი ვითარებაა და კაცმა არ იცის, მომავალში რა იქნება. თუმცა ბათუმელებს ერთი პირობისა სჯერათ და ეიმედებათ, რომ ორი თვის დავალიანებას ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს 15 იანვრამდე გაუსტუმრებენ, ოღონდ ვინ არის ეს „გამსტუმრებელი", ჩვენთვის უცნობია. ბათუმელების თქმით, ხელფას-პრემიების ჩამორიგებასთან ერთად ორშაბათს უნდა მოგვარდეს ყველა ის პრობლემური საკითხიც, რომელიც „ბათუმს" აქვს.

როგორც შევიტყვეთ, კლუბი უკვე დატოვა ათზე მეტმა ფეხბურთელმა. ამათ შემცვლელებად კი „ბათუმმა" რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელი თბილისის „დინამოდან" ინათხოვრა, რამდენიმეს დამატებას კი სხვადასხვა გუნდებიდან აპირებს. საინტერესოა, რომ „ბათუმს" დაუბრუნდა ცენტრალური ნახევარმცველი ვიტალი დარჩიძე, ვინც თავის დროზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მერე და მერე ჩრდილში მოექცა, „ბათუმიდან" სათამაშოდ თურქეთში წავიდა, ხოლო ბოლო ერთი წელი მთლად უქმად იყო.

ბათუმის „დინამოს" სტადიონს კი ნელ-ნელა ანგრევენ, ტრიბუნა უკვე მოშლილია და მალე იქ მშენებლობა დაიწყება. როგორც ითქვა, მეორე წრეში „ბათუმი" ადელში ითამაშებს, თუმცა იქ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩატარების საკადრისი პირობები ჯერ არ არის. ამას წინათ პროფლიგის კომისიამ ბათუმელებს ადელის სტადიონის სასწრაფოდ გარემონტება მოსთხოვა და, თუ ბათუმელები პროფლიგის პირობებს ვერ დააკმაყოფილებენ, ადელში თამაშს ვერ შეძლებენ.

გუშინდელი ცნობით კი, ბათუმელებს ადელის სარბიელის მოწესრიგება უკვე დაუწყიათ და 15 თებერვლამდე, ანუ პროფლიგის ხელახალ რევიზიამდე სტადიონს ალბათ სათანადოდ გააკეთებენ.

**კობა ინასარიძე**

# ფეიქრიშვილი გოლით მოდის

**როგორც ჩანს,** კრივოი როგის „კრივბასმა" ფინანსური კრიზისი დაძლია. ახალი მწვრთნელის ოლეგ ტარანის ხელმძღვანელობით გუნდი კრივოი როგში გადის შეკრების პირველ ეტაპს, რომელზეც მწვრთნელის განკარგულებაში სამი ქართველი იყო — ვასილ გიგიაძე, ვლადიმერ ბურდული და გიორგი ფეიქრიშვილი.

ტარანმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, საქართველოდან თავდამსხმელსაც ველით, თუმც, სამწუხაროდ, გვარი არ დაუკონკრეტებია.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად კრივბასელ ქართველებს დავუკავშირდით და მათგან განსხვავებული პასუხი მივიღეთ.

— „კრივბასში" ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარე, ის მატჩი 1:0 მოვიგეთ და გოლი მე გავიტანე, მაგრამ აქ დარჩენას არ ვაპირებ. ტარანს თავისი ხალხი მოჰყავს, თანაც მე და ბურდული ერთ პოზიციაზე ვთამაშობთ... დღეს საქართველოში გამოფრენას ვაპირებ. რაც შეეხება ქართველი თავდამსხმელის დამატებას, ამის თაობაზე არაფერი ვიცი — გვითხრა გუშინ *გიორგი ფეიქრიშვილმა.*

და ერთიც: გიგიაძეს მცირე ტრავმა აქვს და გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს. ისე კი, „კრივბასის" დატოვება მასაც გადაუწყვეტია და უახლოეს დღეებში კლუბის ხელმძღვანელობასთან აპირებს დალაპარაკებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შინიკი მენთეშაშვილისთვის ეძებს

**ზურაბ მენთეშაშვილს** ახალი კლუბის მოძებნა მოუწევს. უფრო ზუსტად, იაროსლავლის „შინიკი" თავად ეძებს ნავსაყუდელს ქართველი ნახევარმცველისთვის — ასე წერს პრემიერლიგიდან დაქვეითებული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

მენთეშაშვილს „შინიკთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი დარჩა და ჩვენიანმა არ ისურვა პირველ დივიზიონში თამაში, თუ თავად „შინიკმა" იუარა, არ ვიცით. ფაქტია, მენთეშაშვილი ტრანსფერზეა...

რაც შეეხება ალეკო ამისულაშვილს, მას იაროსლავლურ კლუბში იჯარის ვადა დაუსრულდა და კიევის „დინამოს" დაუბრუნდა, თუმცა ფორმალურად — ამისულაშვილი კიევში არ დარჩება და, როგორც თავად გვითხრა, სავარაუდოდ, რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდში გააგრძელებს კარიერას.

**ილია ნანობაშვილი**

### ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

### ჩვენი მეტოქე

# ლიტვა მალიში ჩავა

**ლიტვის** ნაკრები 6 თებერვალს ამხანაგური მატჩის სათამაშოდ მალის ესტუმრება. ბალტიისპირელთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა საავრიკოდ ყველა უძლიერესი ფეხბურთელი გამოიძახა და სიასაც აქვე გთავაზობთ:

***მეკარეები:*** *ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი);*

***მცველები:*** *მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს შკერლა (უგუნდო), როლანდას ჯიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), ირმანტას ზემლინსკასი (ტავრია, უკრაინა), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), ნერიუს ბარასა (ჰართსი, შოტლანდია), მარიუს ზალიუკასი (ჰართსი, შოტლანდია)*

***ნახევარმცველები:*** *შაულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), დეივიდას ჩესნაუსკისი (ჰართსი, შოტლანდია), იგორის მორინასი (ფალკირისი), დარიუს მიცეიკა (მეტალურგსი, ლატვია), მინდაუგას კალონასი (კაუნასი), ლინას პილიბაიტისი (კაუნასი), ვიტალიუს კავალიაუსკასი (ეკრანასი);*

***თავდამსხმელები:*** *ედგარას იანკაუსკასი (ჰართსი, შოტლანდია), ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), ტომას რაძინავიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი), ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია).*

**ილია ნანობაშვილი**

# კადისური გოლი

**დავით სირაძის** ერცგებირგეს აუე შეკრებას ესპანეთში გადის.

აუე ქალაქ კადისში ჰოლანდიის მეორე დივიზიონის „ზვოლეს" გაეჯიბრა საკონტროლო მატჩში და 1:1 ითამაშა.

აუე-ც და „ზვოლეც" თავიანთ ლიგებში მოწინავე პოზიციებზე არიან, თუმც მეხუთე ადგილზე მყოფ აუე-სთვის პირველ ბუნდესლიგაში გადასვლა თვითმიზანი არ არის. რაც შეეხება ერცგებირგელების დაპირისპირებას „ზვოლესთან", აუედან გოლი სირაძემ გაიტანა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# გამეზარდაშვილი რიგაშია, გეწაძე — რიგში

**რიგის** „სკონტომ" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და რუსთავის „ოლიმპის" ნახევარმცველი რევაზ გეწაძე გასინჯვაზე მიიწვია. ჩვენიანი რამდენიმე ვარჯიშს ჩაატარებს ლატვიურ გუნდთან და, თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

ამჟამად „სკონტოში" კიდევ ერთი ქართველია — დავით გამეზარდაშვილი რიგელებს ქუთაისის „ტორპედოდან" დაუბრუნდათ.

ლევან კორღალიძე და დავით ნალაძე კი „სკონტომ" ჯერ კიდევ სეზონის ბოლოს გაათავისუფლა.

**კახა შალამბერიძე**

# ჯერ იმედაშვილი, მერე მარცვალაძეც

**გუშინ** კიევის „დინამო" შეკრებაზე გაემგზავრა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და თან ერთი ქართველი, დავით იმედაშვილი იახლა. კიეველთა კიდევ ერთი ჩვენიანი, ოთარ მარცვალაძე კი გუნდის მეორე შეკრებაზე შეუერთდება.

მარცვალაძემ ტრავმა ახლახან მოიშუშა და ჯერაც არ შეუძლია დატვირთვების მიღება. ის კიევში დარჩება, გუნდის ექიმების მეთვალყურეობით ივარჯიშებს და, სავარაუდოდ, ისრაელურ შეკრებაზე გაჰყვება „დინამოს".

**კახა შალამბერიძე**

# ერთ კარში ორი ქართველი ვერ ჩადგა

**ნალჩიკის** „სპარტაკიდან" წასულმა ალექსანდრე ჩიხრაძემ ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთან" კონტრაქტი გააფორმა. ქართული წარმოშობის მეკარე ახლა კარგ ფორმაშია, 2006 წლის რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეთა ხუთეულშიც მოხვდა და ახალი გუნდის მოძებნაც არ გასჭირვებია.

ამასობაში ვლადივოსტოკელებს ოფიციალურად დაშორდა გიორგი ლორია. საქართველოს ნაკრების მეკარე ახლა უქმადაა, მის ახალ გუნდს კი „ხიმკის" ყოფილი პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო ეძებს.

**კახა შალამბერიძე**

# ისტორიამ და სტატისტიკამ ჯილდოები ჩამოარიგეს







„სევილია“ — მსოფლიოს საუკეთესო კლუბი

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (**IFFHS**) ესპანური „სევილია“ 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად აღიარა. ანდალუზიელებს ჯილდო 8 იანვრის სალამოს ავსტრიულ ზალცბურგში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე გადასცეს. მოცარტის მშობლიურ ქალაქში კლუბთა შორის ჯილდო იმან მიიღო, რომელიც **IFFHS**-ის ვერსიით გასულ წელს საფეხბურთო სიმფონიებს სხვადასხვა მინდვრებზე დანარჩენ კლუბებზე უკეთ ასრულებდა.

საპატიო პრიზით სევილიელთა დელეგაცია (კლუბის პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო, მწვრთნელი ხუანდე რამოსი და გუნდის კაპიტანი ხავი ნავარო) 1962 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელმა, სახელგანთქმულმა ჩეხმა ფეხბურთელმა იოზეფ მასოპუსტმა დააჯილდოვა. ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შედარებით მოკრძალებული სპორტული წარსულის მქონე ანდალუზიური კლუბი „ინტერს“, „ბარსელონას“, „არსენალსა“ და „მილანს“ აჯობინა, რომელთა სპორტული მიღწევებიც სევილიელთა მონაგარს აშკარად აღემატება. სცენაზე ასული ესპანელები გამარჯვების სიხარულს ამიტომაც ვერ მალავდნენ.

წარსულის მიღწევები ვახსენეთ, თუმცა გასულ წელს „სევილიამ“ ბრწყინვალედ ითამაშა და ტიტულიან გრანდებს ტოლი არ დაუდო. გუნდმა უეფას და ევროპის სუპერთასები მოიგო და შესანიშნავი თამაშით თავის ინჩასებს გული გაუხარა.

„რამდენიმე წლის წინ ვინ იტყოდა, რომ „სევილიას“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბად აღიარებდნენ? ეს უპრეცედენტო წარმატებაა. დღეიდან მოყოლებული, მხოლოდ დიდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ. მსოფლიოს საუკეთესო კლუბად გამოგვაცხადეს და ახლა წაგების უფლება აღარ გვაქვს. უნდა დავამტკიცოთ, რომ ტიტული ტყუილუბრალოდ არ გვერგო“ — თქვა „სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ.

„უდიდესი სიხარულია პირადად ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი ეს „სევილიას“ შემწეობით განხორციელდა. ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ 2006 წლის ნომერ მესამე საუკეთესო საკლუბო მწვრთნელად დამასახელა, რითაც ლაურეატთა სიაში რაიკარდის, მაურინიუს, ფერგიუსონისა და ვენგერის დონის სპეციალისტებს გავუტოლდი. ვამაყობ ამით, მაგრამ უპირველესი ჩემთვის მაინც „სევილიას“ წარმატებაა“ — განაცხადა ხუანდე რამოსმა.

**IFFHS**-მა კი სხვებსაც გადასცა ჯილდოები. საუკეთესო სანაკრებო მწვრთნელად იტალიის ეროვნული გუნდის ექსთავკაცი მარჩელო ლიპი აღიარეს. ლიპიმ შარშან იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა. გამოცდილმა სპეციალისტმა ნიჭიერი ფეხბურთელების ჯგუფთან შესანიშნავად წაიმუშავა და „სკუადრა აძურაც“ მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზე აიყვანა. მეორე და მესამე ადგილები კი რაიმონ დომენეკს და იურგენ კლინსმანს ხვდათ წილად.

2006-ის მეგოლეებად ჰუნტელაარი და სუაზო გამოაცხადეს. პირველმა ჰოლანდიის ჩემპიონატში გატანილი გოლებით გამოიჩინა თავი, ხოლო მეორემ — სანაკრებო სარბიელზე. ესტონელმა ზაჰარავაიკომ კი შინაური ჩემპიონატის 21 მატჩში 25 გოლი გაიტანა, რის გამოც ყველაზე შედეგიან ფეხბურთელად იქცა.

საუკეთესო არბიტრად არგენტინელი მსაჯი ორასიო ელიზონდო აღიარეს. პატაგონიელი გერმანულ მუნდიალზე მყოფ მსაჯთაგან თავისი კვალიფიციურობით გამოირჩეოდა და **IFFHS**-მაც მისი მუყაითობა სათანადოდ დააფასა.

ფედერაციის ვერსიით, გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფრანგი ზინედინ ზიდანია. ზიზუმ მსოფლიოს ჩემპიონატზე საოცრად იბურთავა, რის გამოც **IFFHS**-ს სპეციალისტებმა რონალდინიოსა და ანდრეა პირლოზე მაღლა დააყენეს. რონიმ ჩემპიონთა თასი მოიგო, თუმცა მუნდიალზე უღიმღამო თამაში აჩვენა. პირლოს კი დიდებული მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქონდა, თუმცა ლიგაზე და სერია A-ში თავი ბევრით არაფრით გამოუჩენია.

წლის საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი ჯილდო იტალიელ ჯანლუიჯი ბუფონს გადაეცა. „იუვენტუსის“ გოლკიპერი საღლეისოდ სერია **B**-ში იბრძვის, მაგრამ რაკი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიამ მოიგო, ბუფონი მსოფლიოში პირველ მეკარედ იქცა. მისთვის ახლა კარიერის საუკეთესო წლებია. მომდევნო ადგილებზე არსენალელი ლემანი, „ჩელსის“ ჩეხი და „რეალის“ კასილიასი გავიდნენ.

მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო ჩემპიონატად იტალიური სერია **A** აღიარეს. იტალიის პირველობაზე შარშან აგორებული სკანდალების მიუხედავად, „კალჩიო“ მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატად დასახელდა. ესპანურმა კლუბებმა „ბარსელონამ“ და „სევილიამ“ ჩემპიონთა და უეფას თასები მოიგეს. მიუხედავად ამისა, ესპანური პრიმერადივიზიონი მეორე ადგილზე გავიდა. მესამე პოზიცია ინგლისურ პრემიერლიგას მიაკუთვნეს.

2006-ის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელის ტიტული „ბარსელონას“ თავკაც ფრანკ რაიკარდის ერგო. ჰოლანდიელმა შარშან „ბარსას“ ჩემპიონთა თასი და ესპანეთის ჩემპიონობა ბრწყინვალე სტილში მოაგებინა. რაიკარდის ნიჭის წყალობით „კამპ ნოუზე“ ვარსკვლავები თანაბრად არიან განაწილებულნი და „ბარსელონაც“ მოგებათა სიმცირეს არ უჩივის. მეორე ადგილზე „ჩელსის“ დამრიგებელი ჟოზე მაურინიუა, მესამეზე — „სევილიას“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი, ხუთეულის ბოლო ორი ადგილი კი მანჩესტერელ ალექს ფერგიუსონს და არსენალელ ვენგერს ერგოთ.

**ლადო ხომერიკი**

# ინტერში მესის წინ და უკან ატრიალებენ



**იანვრის** სატრასფერო ბაზარი დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა. ნაკლებად მოსალოდნელია დიდევროპულმა კლუბებმა ზამთარში ხმაურიანი ტრანსფერები განახორციელონ. ამიტომაც ევროპული მედია დროს წინ ასწრებს და ზაფხულის სავარაუდო ტრანსფერებს განიხილავს.

მილანური „ლა გაძეტა დელო სპორტი“ ამტკიცებს, რომ იქაური „ინტერი“ „ბარსელონას“ არგენტინელ ვარსკვლავ ლეო მესის შეძენითაა დაინტერესებული. „ინტერნაციონალეს“ თავკაცებს სურთ, იგი ლუიშ ფიგუს ნაცვლად ათამაშონ. პორტუგალიელმა არაბულ „ალ ილტიჰადთან“ გააფორმა კონტრაქტი და 2007 წლის ზაფხულიდან ამ გუნდის წევრი გახდება. „ლა გაძეტა დელო სპორტის“ მიხედვით, მესი იტალიელთა სატრანსფერო სამიზნეზე ფიგუს აღმოსავლურ ავანტიურამდე იმყოფებოდა. „სატრანსფერო ვაჭრობა ბარსელონელებთან უშუალოდ „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. საქმეში უზარმაზარი ფული ტრიალებს, „ინტერნაციონალეს“ შეიძლება მესი 100 მილიონი ევრო დაუჯდეს“ — იუწყება იტალიური გაზეთი.

იმავე წყაროდან ვიგებთ, რომ „ნეროაძურის“ სამწვრთნელო შტაბი მესის თამაშების ვიდეოჩანაწერებს ყურადღებით განიხილავს. „ინტერის“ მწვრთნელთა გადაწყვეტილება არგენტინელთან დაკავშირებით ერთსულოვანია — რაც უფრო მალე ჩავა ლეო „სან სიროზე“ მით უკეთესი.

მესის თამაშზე შეყვარებული მასიმო მორატი ფეხბურთელს იტალიაში გადაბარგების შემთხვევაში ჯამაგირს 3 მილიონი ევროდან 5,5 მილიონამდე გაუზრდის. „ლა გაძეტა“ წერს: „კამპ ნოუს“ ჭეშმარიტი ლიდერად ბრაზილიელი რონალდინიო ჰყავს, რომლის ჩრდილშიც მოექცა მესი. მორატი ეცდება, ეს სიტუაცია „ინტერის“ სასარგებლოდ გამოიყენოს“.

„ინტერნაციონალე“ კი არგენტინელებითაა სავსე. კამბიასო, კრესპო, ძანეტი, კრუზი, ბურდისო, სოლარი და კომპანია თანამემამულეს „სან სიროსთან“ ადაპტაციაში დაეხმარებიან. გაზეთებში კი უკვე გამოკრთა, მესი „ინტერის“ „მარადონა“ გახდებაო.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევჩენკოს ბოლო შანსი უიკომბია



**დღეს** საღამოს „ქარლინგის თასის“ ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში ანდრეი შევჩენკოს ერთ-ერთი ბოლო შანსთაგანი ეძლევა. უკრაინელმა უნდა დაამტკიცოს, რომ „ჩელსიში“ თამაშის ღირსია. 30 მილიონ გირვანქად ნაყიდი ვარსკვლავი „უიკომბის“ დონეზე გამოიცდება... მაგრამ რას გააწყობ, თუკი „სტემფორდ ბრიჯზე“ ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინე. დიახ, დღეს „ჩელსის“ მეტოქე პრემიერლიგის რომელიმე გრანდი კი არა, ქვედალიგელი „უიკომბია“ და ანდრეი შევჩენკოს ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი.

და იცით, როგორ ხუმრობენ ინგლისელები? შევჩენკომ მიმდინარე სეზონში 5 გოლი რომ გაიტანა თითო 6 მილიონიანი გამოდისო. შეგახსენებთ, იმასაც, რომ უკრაინელის ხელფასი კვირაში 130 ათასი გირვანქაა და კიდევ, „ჩელსიმ“ ფეხბურთის ასოციაციის თასზე მავან სუსტზე სუსტ „მაკლსფილდს“ 6:1 რომ მოუგო, შევჩენკომ ექვსიდან ერთის გატანაც ვერ მოახერხა.

ასე და ამგვარად, დღეს საღამოს „უიკომბია“ და თუ ყოფილმა მილანელმა გოლი ვერც ამ თამაშში გაიტანა, შაბათს პრემიერლიგის შეხვედრაში „უიგანთან“ ნამდვილად არ ათამაშებენ და ვინ იცის, „უიგანთან“ გამოსვლა მისთვის „ჩელსის“ შემადგენლობაში სულაც ბოლო გამოდგეს.

და აი, ამ რთულ დროს თანაგუნდელს ლონდონელთა კაპიტანი ფრენკ ლამპარდი უდგება მხარში:

„შევჩენკოს მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განმსჭვალული, მაგრამ მოდი ამ შემთხვევაში სიმპათიაზე ნუ ვილაპარაკებთ. შაბათს „მაკლსფილდთან“ მან გოლი ვერ გაიტანა და სავსებით მართალია ვინც ამბობს, რომ 30 მილიონად ღირებულ მსოფლიო დონის ვარსკვლავს ასეთი რამ არ უნდა დაემართოს, მაგრამ ვფიქრობ, მან მუშაობა არ უნდა შეწყვიტოს. შევჩენკომ უნდა სცადოს თამასა მაღლა ასწიოს, ბოლოს და ბოლოს წარუმატებელი დღეები ყოველთვის ხომ არ გრძელდება. ჩემს მაგალითს გეტყვით. „მაკლსფილდთან“ სამი გოლი გავიტანე, ხოლო „ასტონ ვილასთან“ მთელი თამაშის განმავლობაში ბურთის კარში შეგდებას ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევძელი“.

საინტერესოა, რომ შაბათს ხმა „მაკლსფილდის“ ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა დევიდ მორლიმაც ამოიღო. მან თქვა შევჩენკოს იმდენ ფულს უხდიან, ასეთ საფასურად გაცილებით მეტი მართებსო, მაგრამ ლამპარდი სხვა აზრისაა. მას ცხოვრება და კერძოდ ფეხბურთი გაცილებით რთულად ეჩვენება.

„ფეხბურთი ადვილი საქმე არ არის და ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ხალხი „მაკლსფილდის“ ბუზისხელა ამბიდან სპილოს არ შექმნის. შევჩენკო ნამდვილი პროფესიონალია. რომ ვუყურებ, ვხედავ, რომ შაბათის თამაშმა ვერ დათრგუნა და მუხლჩაუხრელ შრომას განაგრძობს. რა საკვირველია მას თავად უნდა მეტი გოლის გატანა. ბოლოს და ბოლოს მთელი კარიერის განმავლობაში სწორედ ამით იყო დაკავებული. მას თავი ჩახრილი აქვს და თუ კარგად აკვირდებით, მთელი გულითა და სულით სწორედ გოლი გატანას ლამობს. როდესაც ცდილობ, მაგრამ ვერ გაგაქვს, ბუნებრივია, გუნება გეცვლება, მაგრამ მეორე მხრივ ასეთმა დაჟინებამ შეუძლებელია ადრე თუ გვიან შედეგი არ გამოიღოს“.

მოკლედ, საჩოთირო სიტუაციაა, შევჩენკო და „უიკომბი“. მართლაც, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამ ორ საფეხბურთო ერთეულს? რა და ის, რომ „უიკომბის“ მწვრთნელი პოლ ლამბერტი გახლავთ, ფეხბურთელი, რომელმაც 1997 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. ალბათ გახსოვთ, იგი დორტმუნდის „ბორუსიაში“ თამაშობდა და იმ ფინალის მონაწილეა, რომელშიც დორტმუნდელებმა „იუვენტუსს“ 3:1 მოუგეს. იმ შეხვედრაში ლამბერტს არც მეტი არც ნაკლები ზინედინ ზიდანის მეურვეობა ქონდა დავალებული.

„უკვე ბევრმა მკითხა „ჩელსისთან“ შეხვედრის დღეს ჩემპიონთა ლიგის მედლის დაკიდებას თუ ვაპირებ. მართალი რომ გითხრათ ამაზე არ მიფიქრია. ეს მედალი სახლში კი მაქვს, მაგრამ ზუსტად სად მიდევს არც კი ვიცი. ჩემი მთავარი მიღწევა შვილებია. მედალი კარგია, მაგრამ მოგონებებში, რეალურად კი მხოლოდ ბავშვებს აქვთ ფასი“.

საინტერესოა, რომ „უიკომბი“ „ჩელსისთან“ ორმატჩიანი დაპირისპირებით 1,8 მილიონ გირვანქიან ვალს ნახევარი მილიონით შეამცირებს.

„დასახარჯი ფულითა და შესაძლებლობებით „ჩელსი“ რასაკვირველია სხვა პლანეტიდან არის, მაგრამ ჩვენ მათ წინააღმდეგ სწორად უნდა ვითამაშოთ და მთავარი ეს იქნება. და კიდევ, ლონდონელების წინააღმდეგ მოედანზე შიშით არ უნდა გავიდეთ“.

**პაპუნა ქედია**

# ჰიონესი: ბაიერნი ბანკი არაა





**გუშინდელ** „სარბიელში“ მოგახსენებდით, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ოუენ ჰარგრივსის შესახებ მოლაპარაკებებს აღარ გამორიცხავს, ოღონდ, გერმანულ „ბილდთან“ ინტერვიუში მიუნხენელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა დაასახელა თანხა, რომლის შემოთავაზების შემთხვევაშიც ექნება ამ მოლაპარაკებებს აზრი — 30 მილიონი ევრო. დღეს თემა ინგლისურმა „სანმა“ გირვანქებში გააგრძელა. ტაბლოიდის თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფი ალექს ფერგიუსონი მიუნხენელებს ჰარგრივსის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, „ბაიერნს“ კი 25 უნდა. ეს მონაცემები „ბილდისას“ მთლად არ ემთხვევა, განსხვავება 7 მილიონშია. „სანის“ ვერსიით გამოდის, რომ ბეკენბაუერის მიერ ევროებში მოთხოვნილი 30 მილიონი სინამდვილეში 37 მილიონია, მაგრამ მოდი ჩვენ ამ ვარიანტების გადამოწმებას ნუ მოვყვებით და ამბავს მივსდიოთ.

„სანმა“ კომენტარისთვის დაუყოვნებლივ თავად ჰარგრივსს მიმართა.

„ძალიან დიდ ფულზე დაიწყეს საუბარი. ნუთუ ეს რეალისტურია? — იკითხა ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა, მაგრამ თავისი ვარაუდიც იქვე გამოთქვა — თუმცა, მეორე მხრივ, ფეხბურთის სამყარო გიჟურია და გიჟური თანხებიც მრავალჯერ გადახდილა. პირადად მე, ამწუთას ამ ვაჭრობაზე ფიქრი სულაც არ მინდა. ჩემთვის მთავარი ფეხბურთის თამაში, ვარჯიში და მოედანზე წარმატებების მიღწევაა“.

„სანმა“ „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერის ული ჰიონესის მოსაზრებაც შეიტყო. ყოფილი ფორვარდი ამბობს:

„დღეს ჰარგრივსი უნდა დარჩეს, მომავალში კი გაიყიდება თუ არა ეს ნახევარმცველი, დირექტორატის გადასაწყვეტია. იხე, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ მისი დაკარგვა არ გვინდა. „ბაიერნი“ ბანკი არ არის, მთავარ მიზნად წარმატებული ფინანსური ოპერაციის ჩატარება რომ ჰქონდეს დასახული. ჩვენ ფეხბურთის კლუბი ვართ და თუ რამ გვინდა, უპირველეს ყოვლისა საფეხბურთო წარმატებაა. ოუენი ძალიან ტექნიკური, ლაცაზე ორიენტირებული ნახევარმცველია. მისი დონისას ბევრს ვერ იპოვი და ამიტომაც, მისი გაყიდვა, სანამ იმავე ძალის შემცვლელის არ მოიყვან, დიდ შეცდომად მიმაჩნია. ამრიგად, ჰარგრივსი მხოლოდ მაშინ უნდა გავყიდოთ, შემცვლელს რომ დავიგულებთ, შემცვლელში კი რამდენს მოგვთხოვენ ვინ იცის. ხოლო მეორე „მანჩესტერ იუნაიტედს“ იმდენი უნდა გამოვართვათ, რამდენიც ახალი ნახევარმცველი დაგვიჯდება“.

ოუენ ჰარგრივსი კი ამასობაში დუბაიშია, „ბაიერნთან“ ერთად მეორე წრისთვის ემზადება და მოტეხილ ფეხის ძვალს მკურნალობს.

„ფეხის მკურნალობისა და მომზადების გარდა ყველაფერი ჩემს გარეშეც მოგვარდება. ეს ჩემი საქმე არ არის. ვიმეორებ, ერთადერთი რაც ახლა მინდა, საქმეში კარგად დაბრუნებაა“.

**პაპუნა ქედია**

# ჯიჯი ბუფონმა პირი ამოიკერა



**ჯანლუიჯი ბუფონის** წასვლა-დარჩენის ამბავი კვლავაც გაურკვეველია. მეკარეს სამომავლო გეგმებზე საუბარი მოსწყინდა და ამის გარჩევას აღარ აპირებს. საკითხი კი იმიტომ წამოტივტივდა, რომ „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა ჟან კლოდ ბლანმა „ტუტოსპორტთან“ ინტერვიუში ბუფონი გუნდის უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად დაასახელა. „ცხადია, მესიამოვნა, ბლანის სიტყვები რომ წავიკითხე, მაგრამ ჩემს მომავალზე და შესაძლო ტრანსფერზე ლაპარაკი აღარ მსურს — განაცხადა მეკარემ იტალიის ნაკრების „ღირსების ორდენით“ დაჯილდოების ცერემონიალზე — 12 წელია, ფეხბურთს ვთამაშობ და ვიცი, რა და როგორ ხდება. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ჩემს სიტყვას ისე გადააკეთებენ, რომ შესაძლოა, პრობლემები შემექმნას. ამიტომაც ვარჩიე გაჩუმება. „იუვენტუსი“ მხოლოდ ჯანლუიჯი ბუფონი არაა და ჩემი წასვლა-დარჩენის საკითხიც კლუბის გადასაწყვეტია“.

# რომარიოს ათასამდე ფიფა გადაეღობა

**რომარიოს** კვლავ თამაში უნდა და ფიფას ნებართვას ელის, რათა „ვასკუ და გამასთან“ ერთად ჩაებას რიოს, ანუ კარიოკას ჩემპიონატში, რომელიც იმ თვეში დაიწყება. 41 წლის რომარიო ცდილობს, რომ როგორმე გვერდი აუქციოს ფიფას იმ წესს, რომელიც 12 თვეში 2-ზე მეტ კლუბში თამაშს კრძალავს.

„ძალიან ძნელია, როცა სხვაზე ხარ დამოკიდებული — თქვა რომარიომ — ვფიქრობ, ფიფა გამიგებს და დამეხმარება“.

რომარიომ, რომელსაც კარიერაში 987 გოლი გაუტანია, „ვასკუ“ გაზაფხულზე დატოვა და ამერიკაში „მაიამიში“ თამაშობდა. მერე ის ავსტრალიის „ადელაიდა იუნაიტედში“ მოხვდა, გასულ კვირას კი ოფიციალურად დაუბრუნდა „ვასკუს“.

ამბობენ, რომ მას 1000 გოლის შეგდება უნდა, თუმცა ამბობს, რომ კარიოკაში 13 გოლის შეგდება ძნელი საქმეა. ბრაზილიური მედია კი მიიჩნევს, რომ რომარიოს 987 გაბერილია, რადგან ფეხბურთელმა მას ყმაწვილთა გუნდებში და სავარჯიშო თამაშებში გატანილი გოლებიც მიათვალა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კრება არ დარჩა მხიარული

## კაპელომ რონალდოს დახლზე დასმა მოითხოვა

**„რიასორზე“ კრახს მადრიდში გამოძახილი მოჰყვა. მოგეხსენებათ, პრიმერადივიზიონის მეჩვიდმეტე ტურში „რეალმა“ „დეპორტივოსთან“ უსუსურად წააგო, რამაც კლუბის პრეზიდენტ რამონ კალდერონის მოთმინების ფიალა შეავსო. სამეფო თეთრების თავკაცმა ორშაბათს მადრიდში საგანგებო კრება მოიწვია, სადაც ფაბიო კაპელოს ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა. ესპანური გაზეთები გვამცნობენ, რომ თათბირმა ფრიად დაძაბულად ჩაიარა, ხოლო სენიორ კაპელომ პრეზიდენტთან შეხვედრის მთელი საათნახევრის განმავლობაში „რეალის“ უბედობის გამომწვევ მთავარ დამნაშავეებზე ისაუბრა. და ვინ არიან ეს დამნაშავეები? კაპელოს შეგირდები, ფეხბურთელები, რომელთა უმრავლესობაზე იტალიელი ბოლო დღეებამდე დიდ იმედებს ამყარებდა**





იტალიელმა განსაკუთრებით რონალდო გააკრიტიკა. კაპელოს აზრით, რონის სათანადო სიბეჯითე და დისციპლინა აკლია, ამ ორი რკინისებური თვისების გარეშე კი (როგორც დონ ფაბიო თვლის) რონალდო წარსულის აჩრდილად გადაიქცა. ბრაზილიელი კაპელოს გუნდში ვარჯიშებისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო ძირითადში ვერ მოხვდება, ხოლო მწვრთნელი კი გუნდის პრეზიდენტ კალდერონს და სპორტულ დირექტორ მიატოვიჩს ურჩევს, რონალდო სადისციპლინო სასჯელით დასაჯონ. „ეს თავად რონისთვისაც კარგი იქნება, ეგებ გამოფხიზლდეს. გარდა ამისა, რონალდოს სანქცია მის თაყვანისმცემლებზე — ახალგაზრდა რეალელებზე, რობინიოზე და მარსელოზეც სასიკეთოდ იმოქმედებს“ — აღნიშნა დონ ფაბიომ. შემდეგ კი თქვა, რომ „რეალის“ ფეხბურთელები ღამღამობით მადრიდს მხიარული თავგადასავლებით იკლებენ და დილას ვარჯიშებზე დაღლილ-გასავათებულები ბრუნდებიან. „ასეთი მოქცევა ნამდვილ პროფესიონალებს არ ეკადრებათ“ — თქვა კაპელომ.

„ასის“ ცნობით, კრებაზე ერთ-ერთ ეპიზოდში კაპელო ისე გაფიცხებულა, რომ ხმამაღლა დაუძახია: „ასეთი რონალდო გუნდში აღარ მჭირდება. თუ მოახერხებთ, შეგიძლიათ, ბრაზილიელი გუნდს იანვრის სატრანსფერო ბაზრის პერიოდში ჩამოაშოროთ. გაყიდეთ, იგი ჩემს სამომავლო პროექტში აღარ შედის“.

ამგვარად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კაპელოს და რონალდოს შორის შავი ღრუბელი ჩამოწვა. ახლა კი ის ვთქვათ, რომ კრება მადრიდში პარასკევს, „დეპორტივოსთან“ თამაშამდე ორი დღით ადრეც ჩატარდა. იქ კაპელო არ ყოფილა, რამონ კალდერონის კაბინეტში პრეზიდენტთან ერთად მარტო რონალდო, სპორტული დირექტორი მიატოვიჩი და მისი თანაშემწე ფრანკო ბალდინი ისხდნენ. „მე საკუთარ თავს ვერ გადავახტები, ვვარჯიშობ და ვთამაშობ, როგორც შემიძლია, ამაზე უკეთესად ვერ მოვახერხებ“ — განუცხადა ბრაზილიელმა რამონ კალდერონს. კაპელოს კი სჯერა, რომ კიჭა, თუ შეაფუცხუნებენ, უკეთესად თამაშს შეძლებს და გამოსაცოცხლებლად „ბეტისთან“ და „სარაგოსასთან“ მატჩებში სათადარიგოებში ჩატოვებას უპირებს.

თუ რონალდო მაინც არ „გამოფხიზლდა“, ალბათ „რეალი“ მის გაყიდვაზე სერიოზულად იზრუნებს. აქ კი ერთი გვარიანი პრობლემა ჩნდება — სამეფო თეთრებისთვის კიჭას შეძენის თაობაზე არც ერთ კლუბს სერიოზულად არ მიუმართავს. საუბრობენ „ჩელსის“ შემოთავაზებაზე, ოღონდ იმ გაცვლით ოპერაციაში შევჩენკოს გვარი ფიგურირებს და მხოლოდ ღმერთმა იცის, ხსენებული გარიგება როგორ დასრულდება.

მათრახი მარტო რონალდოს არ გადაჰკრეს. კაპელომ გუნდიდან უამრავი ფეხბურთელის გაშვება მოითხოვა, მაგალითად, ანტონიო კასანოზე თქვა, რომ იგი მწვრთნელის დავალებებს არ ასრულებს, უმართავია და გუნდი მხოლოდ მოგებას ნახავს მისი გაყიდვით. ხოლო ისინი, ვინც ადრე „ბერნაბეუზე“ მისი ფავორიტები იყვნენ, დღეს რისხვის ობიექტებად იქცნენ. თანმიმდევრობით მივყვეთ.

### რაული, რომელსაც დასვენება სჭირდება

სამეფო თეთრების მეშვიდე ნომერი და ლეგენდარული კაპიტანი „დეპორტივოსთან“ თამაშამდე კაპელოს უპირობო ფავორიტი იყო, მაგრამ ორშაბათის კრებაზე იტალიელმა რაულზე ასე განაცხადა: „იქნებ რაულს რამდენიმე მატჩით დასვენება სჭირდება, რათა ძალები აღიდგინოს“. ეს იმას ნიშნავს, რომ რაული ხელშეუხებელთა კასტას უკვე აღარ მიეკუთვნება, შეიძლება, კაპელომ სათადარიგოებში თვით დიდი კაპიტანიც კი დასვას.

### კანავარო, რომელიც მწვრთნელმა ვერ იცნო

კაპელოსთვის „დეპორთან“ მისი სეხნიას უსუსური ბურთაობა ყველაზე დიდი დარტყმა იყო. იტალიელს ძველი შეგირდისა ჯერ კიდევ სჯერა, თუმცა პრეზიდენტ კალდერონისთვის უთქვამს: „მას ველარ ვცნობ. ეს ის კანავარო არაა „იუვენტუსში“ რომ მყავდა“.

### სალგადო, რომელმაც ყველას იმედები გაუცრუა

ელგერას ტრავმის შემდეგ კაპელომ სალგადოს ძირითადი დაუთმო და მწარედ ინანა. მადრიდელმა მცველმა „უელვასთან“ და „დეპორტივოსთან“ საშინლად ითამაშა. კრებაზე დონ ფაბიომ განაცხადა, რომ სალგადოს პოზიციას სერხიო რამოსს ჩააბარებს.

### ბექემი, რომელთანაც კონტრაქტის განახლება არ შეიძლება

ინგლისელმა „სევილიასთან“ და „უელვასთან“ ძირითადში ითამაშა, ხოლო „რიასორზე“ მოედანზე 78 წუთის განმავლობაში იყო. მიუხედავად ამისა, კაპელო „რეალის“ მარჯვენა ფლანგზე ბექემს მარტო მესამე სათადარიგო ფეხბურთელად თვლის (რაულის და რეიესის შემდეგ) და გუნდის ხელმძღვანელობას სთხოვს, ალბიონელთან კონტრაქტი აღარ განაახლონ. აი, ამბავი! განა თავად კაპელო არ იყო ის კაცი, სულ რაღაც ერთი თვის წინ კალდერონისგან ბექემთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას დაჟინებით რომ ითხოვდა?!

### გუტი, რომელიც კონტრაქტის განახლებამ წახდინა

პრეზიდენტთან საუბარში ფაბიო კაპელომ გუნდის მეორე კაპიტნის თამაშის დაბალი დონის გამოც გამოთქვა შეშფოთება. იტალიელის აზრით, გუტის წახდენაში... „რეალთან“ მისი ახალი კონტრაქტია დამნაშავე. „მას შემდეგ, რაც გუტიერესმა „რეალთან“ 2010 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება, მისი თამაშის დონე საშინლად დაეცა“ — განაცხადა სამეფო თეთრების დამრიგებელმა.

### ემერსონი, რომელიც ის აღარ არის, რაც იუვეში იყო

კარგა ხანი შეინახა კაპელომ ბრაზილიელი. ემერსონი დიდ მწვრთნელს „რომადან“ მოყოლებული ყველა გუნდში დაჰყვება და კაპელოც „დეპორტივოსთან“ მატჩამდე საყვარელ შეგირდს მედიისა და გულშემატკივრების კრიტიკისგან ყველანაირად იცავდა. ოღონდ, დიდი იტალიელის მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს და კაპელომაც აღნიშნა: „იუვენტუსელი ემერსონი და რეალელი ემერსონი ერთმანეთისგან როგორც ცა და მიწა ისე განსხვავდებიან“.

**ლადო ხომერიკი**



გაბრიელ ჰაინცე

# დეშანს მარცხენა შუაში მოსწონს

„იუვენტუსის“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა დაადასტურა, რომ „მანჩესტერიდან“ მცველ გაბრიელ ჰაინცეს გადაბირება სურს. 24 წლის არგენტინელმა ინგლისში გადასვლამდე სამი სეზონი პსჟ-ში გაატარა, ახლა კი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, რადგან ფერგიუსონი პატრის ევრას უფრო ენდობა. „იუვე“ ალბათ სერია A-ში დაბრუნდება და დეშანი აქედანვე ცდილობს სამომავლოდ ფეხბურთელების შერჩევას. „ძალიან კარგად ვიცნობ ჰაინცეს, რადგან საფრანგეთში მისი თამაში ბევრჯერ მინახავს — განაცხადა დეშანმა — „მანჩესტერში“ მარცხენა მცველად თამაშობს, მაგრამ მგონია, რომ ეს მისი ადგილი არ არის. დაცვის ცენტრში იგი უფრო კარგად გაართვება. „მანჩესტერს“ ბევრი მარცხენა მცველი ჰყავს, ამიტომ თუ მის გაყიდვას დააპირებენ და ფასზე მოვრიგდებით, მისი გადმობირება რატომ არ უნდა ვცადოთ. ჰაინცე გამოცდილი ფეხბურთელია, ლიდერია და გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს. გარდა ამისა, ევროკავშირის პასპორტს ფლობს და ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია“.

არგენტინელი მცველის ფასი დაახლოებით შვიდი მილიონი გირვანქაა. მისი შეძენით „მილანიცაა“ დაინტერესებული.

რაც შეეხება ვესტჰემელ ხავიერ მასკერანოს, რომლის ყიდვაც „იუვეს“ ზაფხულშიც შეეძლო და ახლამდეც ცდილობდა, იგი ალბათ „ლივერპულში“ გადავა. გარდა ამისა, „იუვენტუსს“ „აიაქსიდან“ ჩეხი ზდენეკ გრიგერას შეძენაც სურს. მას კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და ტურინულ კლუბს ჩეხის უფასოდ ხელში ჩაგდება შეუძლია. გრიგერას აგენტმა დავიდ ნეჰოდამ დაადასტურა, რომ მას „იუვე“ უკვე დაუკავშირდა.

**ირაკლი ნინიძე**

# ქარაფშუტა ემანუელის ზღაპარი

**ემანუელ ადებაიორი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ უკვე აფრიკის საუკეთესო მოთამაშეთა მარაქაში იხსენიებენ. ნიჭიერმა და წინააღმდეგობებით აღსავსე ფორვარდმა ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ fifa.com-ს მისცა. საუბარი ტოგოს ნაკრებს, „არსენალსა" და... ნაკრებიდან მალე წასვლის სურვილს შეეხო**



**— ტოგოელ მოთამაშეთა შორის ყველაზე ცნობილი თქვენ ხართ. როგორია ამის შეგრძნება?**

— ბედნიერი ვარ და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. ბავშვობაში გმირები მყავდა, მაგალითად, ნვანკვო კანუ, აბედი პელე და კალუშა ბვალია. ამ ფეხბურთელებს ვბაძავდი და ვეთაყვანებოდი, ამიტომაც დღეს, როდესაც სტატუსით მათ გავუტოლდი, თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნია. მსიამოვნებს როდესაც ტოგოში ხალხი ჩემს მიმართ სიყვარულს ამჟღავნებს. მე ჯერ მხოლოდ 21 წლისა ვარ, მაგრამ უკვე მითამაშია მსოფლიოს ჩემპიონატსა თუ აფრიკის თასზე. ვყოფილვარ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მოკლედ, შეუძლებელია საკუთარი ცხოვრებითა და კარიერით კმაყოფილი არ ვიყო.

**— ბავშვობაში, ქუჩებში ბურთს რომ დასდევდით, ვინმე რომ მოსულიყო და თქვენთვის ეს ყველაფერი ეწინასწარმეტყველებინა, დაუჯერებდით?**

— ხუთი წლის ასაკში არ დავიჯერებდი. ჩემთვის და ჩემი ტოლებისთვის დენის ბერხკამპისა და ნვანკვო კანუს მსგავსად ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენა ფანტაზიის სფეროდან იქნებოდა. საბედნიეროდ ახლა „არსენალში" ვარ, კიდევ ბევრი რამ მაქვს დასამტკიცებელი და მწამს, რომ ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდეც გაჩვენებთ.

**— ალნაგობითა და სტილით თქვენს კერპს, კანუს გადარებენ.**

— მართალიცაა. ხალხი ხშირად მეუბნება, რომ მასავით ვთამაშობ. კაცმა რომ თქვას, პატარაობაში შემარქვეს კიდეც კანუ. მინდა გითხრათ, რომ ეს შედარება მეამაყება. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მასავით „არსენალის" ფეხბურთელი ვარ, კანუ კარიერის დასრულებამდე ჩემი კერპი იქნება.

**— ასაკის მიუხედავად ტოგოში თქვენგან საგანგებო საქმეებს ელიან. როგორ უძლებთ ამას?**

— მადლობა ღმერთს ამის გაძლების უნარს რომ მაძლევს, თუმცა ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მხარდაჭერაც აუცილებლად უნდა ვახსენო. ამაყი ვარ ჩემს სამშობლოს რომ წარმოვადგენ. ნაკრები ის ადგილია, სადაც ყოველთვის საუკეთესო თვისებები უნდა წარმოაჩინო. ტოგოს ნაკრების ცქერისას ჩემი ხალხი სიამაყის გრძნობამ უნდა შეიპყროს.

**— თქვენი მშობლები კი წარმოშობით ნიგერიიდან არიან. არასდროს გიფიქრიათ, რომ ნიგერიის ნაკრებშიც შეგეძლოთ თამაში?**

— რა თქმა უნდა. თავიდან ვფიქრობდი ნიგერიის ნაკრებზე, მაგრამ ფეხბურთის თამაში ტოგოში ვისწავლე, სკოლაში ტოგოში ვიარე და 16 წლისამ ტოგოს ნაკრების შემოთავაზებაზე თანხმობა განვაცხადე. მერედა, ვიცოდი, რომ ნიგერიის ნაკრებში მოხვედრა მეტისმეტად გამიჭირდებოდა, რადგან იქ ევროპის საუკეთესო კლუბების მოთამაშეებს აქვთ დიდი კონკურენცია გამართული. ტოგოს ნაკრებში მოსახვედრად საუკეთესო კლუბში თამაში სულაც არ არის აუცილებელი.

**— მოგვიყევით თქვენი პირველი ნაბიჯების შესახებ. გაიხსენეთ, როგორ თამაშობდით მეგობრებთან ერთად ქუჩებში.**

— იმ დღეებთან უამრავი ლამაზი მოგონება მაკავშირებს. განსაკუთრებით ჩემი უფროსი ძმა მახსენდება, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს. ქუჩაში უამრავ შეჯიბრებას ვაწყობდით და მე საუკეთესო ფეხბურთელი ვხდებოდი ხოლმე. ფეხბურთის დიდი სიყვარული მაშინ ჩამენერგა, ქუჩაში სათამაშოდ სკოლიდან რომ ვიპარებოდი. მახსოვს როგორ ვიცვამდი სკოლის ფორმას დედა რომ მომეტყუებინა, თუმცა საბოლოოდ იმით დავამთავრე, რომ ყველა ჯურის ტურნირებში ვიღებდი მონაწილეობას. საზღვართან ახლოს, განის ქალაქ აფლაოშიც კი ჩავდიოდით.

**— სკოლისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო მშობლები ალბათ გიწყრებოდნენ.**

— თუ გამომიჭერდნენ რომ სკოლას ვაცდენდი სასტიკად მსჯიდნენ, თუმცა გავიდა ხანი და მათაც დაინახეს, რომ ჩემი ცემით არაფერი იცვლება. ერთხელ, როდესაც დედას გამოვუტყდი, რომ სკოლა ჩემი საქმე არ იყო, ძალიან ეწყინა, მაგრამ რა უნდა ექნა, ადგა და ფეხბურთზე სრულ გადართვაში შემიწყო ხელი. აი, მამაჩემის დაყოლიება უფრო ძნელი საქმე გამოდგა, თუმცა 15 წლიანთა ნაკრების თამაშზე რომ დავპატიჟე და ჩემი თამაში ნახა, მოტყდა.

**— ეგვიპტეში გამართულ აფრიკის თასზე თქვენი და თქვენი ნაკრების მწვრთნელის სტეფან კეშის ჩხუბმა მთელი მსოფლიოს გაზეთების ყურადღება მიიპყრო. ჩხუბის მიზეზი ის გახლდათ, რომ მან თქვენ ზოგიერთ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე დაგსვათ. თქვენი მაშინდელი საქციელი შეეფერება პროფესიონალს?**

— ძველი ამბავია. ახლა რომ ვიხსენებ საკუთარი საქციელით უკმაყოფილო ვრჩები. გასაგებია, ფეხბურთელი ვარ და მწვრთნელს უნდა დავემორჩილო, მაგრამ როდესაც თამაში გწყურია და ერთი სული გაქვს როდის დაამტკიცებ, რომ საუკეთესო ფეხბურთელი ხარ, როგორ გინდა თავი შეიკავო? იმ ჩემპიონატში საერთოდაც ცუდად ვითამაშეთ. იმედი მაქვს 2008 წელს განაში ყველაფერი უკეთ გამოვა. სტეფან კეში ჩემთვის უფროსი ძმასავით არის. მასთან ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნო იყო.

**— შემდეგ ტოგოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, რაც ისტორიული მოვლენა გახლდათ, მაგრამ თქვენი თანაგუნდელები მოედანს მიღმა ის იქცეოდნენ, რომ ამით თქვენს სამშობლოს სახელი ნამდვილად არ შემატებია. ფეხბურთელებსა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებს შორის გამართული დავა ხომ საერთოდ გვირგვინი იყო.**

— სამაგელი დრო იყო. ვნანობ ასე რომ წარიმართა ყველაფერი. როდესაც ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდის, თავისი ქვეყნის წარდგენაზე უნდა ზრუნავდეს და არა ფედერაციისთვის ფულის წაღლეტაზე, თუმცა ეს ფეხბურთია და ჩვენ უკეთეს მომავალზე უნდა ვიფიქროთ. შვეიცარიასთან თამაშის ჩაშლით რომ დავიმუქრეთ ბევრი მიხვდა, რომ ტოგოში მთელი რიგი საკითხებია შესაცვლელი.

**— გჯერათ, რომ თქვენი ნაკრები ამიერიდან საძირკვლად გამოიყენებს იმას, რასაც თქვენ მიაღწიეთ?**

— იმედი მაქვს რომ ასე იქნება. ადმინისტრირების პრობლემები მძაფრად დგას, მაგრამ მეორე მხრივ საუცხოო ფეხბურთელები გვყავს. ვითარება რთულია, მაგრამ მოწადინებამ შესაძლოა შედეგი მოგვცეს.

**— ტოგოს ნაკრებს მწვრთნელსაც ხშირად უცვლიან. ერთ წელიწადში სამი თავკაცი... ასეთ ვითარებაში რა პროგრესზე შეიძლება ლაპარაკი?**

— არანაირზე, მაგრამ ჩვენ ხომ პროფესიონალი მოთამაშეები ვართ და ფედერაციასთან კონფლიქტი უნდა დავივიწყოთ. ისე კი, რა თქმა უნდა, როდესაც არ იცი ვინ გეყოლება მწვრთნელად დიდი ხნის განმავლობაში, ვერაფერს მოიგებ.

**— და თქვენ არ შეგიძლიათ ქვეყნის ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობის რამენაირად შეცვლა?**

— შემიძლია, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ რასაც გავაკეთებ სწორი იქნება. თუ შემეკითხებიან ვეტყვი რა მოსაზრებებიც მაქვს, თუმცა შევხედავ კიდეც. თუ ნახევარ წელიწადში მდგომარეობა უკეთესობისკენ არ მოტრიალდა, სანაკრებო თამაშებს საერთოდ დავანებებ თავს.

**— ეს სერიოზული ნათქვამია.**

— ვიცი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ხომ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქრო? მართალია, მზად ვარ ჩემი ქვეყნისთვის ყველაფერი გავიღო, მაგრამ თუ იქ საორგანიზაციო საკითხები ვერა და ვერ მოგვარდება, იძულებული ვიქნები ეგოისტურად განვსაჯო.

**— 2010 წელს მუნდიალი აფრიკის კონტინენტზეა. განა არ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ წელიწადს წარმატებას სწორედ აფრიკულმა გუნდებმა მიაღწიონ?**

— ეს იძლევა შანსს, რომ ნახევარფინალს თუნდაც ერთმა აფრიკულმა გუნდმა მიაღწიოს. ეს შანსი თუ არ გამოვიყენეთ, მერე როდის რას ვიზამთ აღარ ვიცი.

**— თქვენ თინეიჯერი იყავით, როდესაც ფრანგულმა „მეცმა" წაგიყვანათ.**

— პირველ ხანს ძალიან ძნელი იყო. ოქტომბერში ჩავედი, ციოდა. სენეგალელმა ფეხბურთელმა ნდიაემ უამრავი მაისური და სხვა ჩასაცმელი მომცა. ის რომ არა, ნამდვილად მოვკვდებოდი. მახსოვს, ერთ დილას გავიღვიძე და ვიგრძენი, რომ ამდენი ცუდი ამინდის ატანა აღარ შემიძლია. მივედი მწვრთნელთან და ვუთხარი, რომ შინ ვბრუნდებოდი. ხელებსა და ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი. მწვრთნელმა მარტივად მიპასუხა, შენი მომავალი შენს ხელშია და თავად გადაწყვიტე დარჩები თუ წახვალო. ეს რომ მოვისმინე ჩემს ოთახში შევბრუნდი, წავუტირე, მაგრამ მივხვდი რომ ოქროს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გამეშვა.

**— საფრანგეთში რამდენიმე სატრანსპორტო შარში გაეხვიეთ. იქ ხალხს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ქარაფშუტა ხართ.**

— მონაკოდან მეცში მივდიოდი. ეს ათსაათიანი გზაა, ნეტავ თვითმფრინავით წავსულიყავი. ისეთი ამბავი გადამხდა, ბედნიერი ვარ ცოცხალი რომ დავრჩი. რომ მოვყვე ზღაპარი გეგონებათ. ისე, ახალგაზრდა კაცს ხანდახან კი უნდა გადახდეს ფათერაკი.

**— ბევრს ჰგონია, რომ ავტორიტეტებს პატივს არ სცემთ.**

— რაც ვარ, ის ვარ. რასაც ვამბობ იმას ვფიქრობ და პატივს იმათ ვცემ, ვინც საკუთარ თავს ცემს პატივს. ის ვინც თავს არ სცემს პატივს, ვერც მე მცემს პატივს. მაგალითად კეშისთან ვიჩხუბე, მაგრამ მას ჩემზე ცუდი არასდროს უთქვამს. ის მიცნობს. მე ის ბიჭი ვარ, რომელსაც სიცილი და ცხოვრებით სიამოვნება უნდა.

**—„არსენალში" პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანეთ, მაგრამ ძირითადში რეგულარულად ვერ ხვდებით. ეს არ გაბრაზებთ?**

— ძნელია, მაგრამ კონკურენცია ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. „მეცშიც" იგივე იყო და „მონაკოშიც". როგორ გინდა მუდმივად ძირითადში მოხვდე, როდესაც თანაგუნდელებად ტიერი ანრი და რობინ ვან პერსი გყავს.

**— დღეს, როდესაც ფეხბურთში წარმატებას მიაღწიეთ და ფულიც იშოვეთ, ალბათ გამოჩნდა ხალხი, რომელიც ჯიბეზე გიყურებთ. ვილაცები, ალბათ, დღედაღამ გემლიქვნელებიან და გაქებენ.**

— მართლა ძნელია იმის გარჩევა, ვინ გულწრფელად მეგობრობს შენთან და ვინ ფულის გამო გეტორღიალება. ჭკუით უნდა ვიყო, თორემ წლები რომ გავა წავაგებ.

**— ჯერ კი 21 წლისა ხართ, მაგრამ მაინც... ფეხბურთის თამაშს თავს რომ დაანებებთ რას აპირებთ?**

— მინდა ახლავე ჩავუყარო საფუძველი და ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ უზრუნველად და მყარად ვიცხოვრო ჩემს ოჯახთან ერთად. მინდა აფრიკელ ფეხბურთელებს ოცნება ავუხდინო და ევროპისკენ გავუკაფო გზა. მაგრამ მწვრთნელი არასდროს გავხდები, ეს უძნელესი საქმე და დიდი პასუხისმგებლობაა. უმალ მაყურებელი ვიქნები ვიდრე მწვრთნელი.

# ტორდ გრიპისთვის ლარსონი კანტონაა





**აი, ფორმულირება:** ჰენრიკ ლარსონი ერიკ კანტონას დარი გმირია, ოღონდ ეგოს გარეშე! ეს სიტყვები ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის მარჯვენა ხელს, შვედ ტორდ გრიპს ეკუთვნის.

ახლავე აგიხსნით საიდან მოდის ეს შედარება: როდესაც ლარსონმა ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ასტონ ვილას" გამარჯვების გოლი გაუტანა, „მანჩესტერ იუნაიტედის" გახარებულმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თქვა მეორე კანტონა მიშოვნიაო, მაგრამ გრიპმა ეს რომ გაიგო თემა გაალვივა და განავითარა. მოკლედ, გრიპს ლარსონის კანტონას გვერდით მშრალად დასახელება არ აკმაყოფილებს და უფრო შორს, სიღრმეებში მიდის:

„კანტონას მსგავსად ლარსონსაც სჩვევია გადამწყვეტი გოლების გატანა. კიდევ, ოდნავი გადაჭარბებით იმის თქმაც შეიძლება, რომ კანტონა ლარსონის დარად გუნდური მოთამაშე იყო, მაგრამ ამ ორ ფეხბურთელს შორის მსგავსება ამით მთავრდება. ლარსონი მოკრძალებული კაცია, ეგოს გარეშე. ის მოედანზე თუ მოედნის გარეთ არავის უყვირის, მეტისმეტად წყნარი ადამიანია. ის ასეთი გახლდათ 1994 წელსაც, როდესაც მე შვედეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი და ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოვიგეთ. ლარსონი არასდროს ყოფილა ემოციით სავსე".

გრიპი, რომელიც 69 წლისა გასულ შაბათს მოიყარა, როგორც თავში მოგახსენეთ, ინგლისის ნაკრებშიც მუშაობდა სვენ-გორან ერიკსონის ასისტენტად. იგი ამბობს:

„ლარსონი უეინ რუნის პარტნიორობას ჩინებულად გასწევს. თუ ჩემს ალღოსა და ცოდნას დაეჯერება, რუნი და ლარსონი კარგი წყვილი უნდა გამოვიდეს. ერთ მშვენიერ დღეს, სავარაუდოდ, როდესაც ასაკი მოემატება, რუნი ლარსონის მსგავსად თამაშს მოინდომებს, ამის სწავლის შესაძლებლობა კი ახლა მიეცემა. რაც შეეხება ლარსონს, რუნის გვერდით ის ინგლისში ბევრ გოლს გაიტანს და კარიერას ჩინებულად განაგრძობს. როდესაც რუნის ნამუშევარს მეტოქის საჯარიმოში ლარსონის მაგვარი ფეხბურთელი დახვდება, შედეგიც საუკეთესო მოვა, ხოლო თუ ჰენრიკს მანჩესტერში სეზონის ბოლომდე დატოვებენ, ვგონებ ის თავის შანსს საუცხოოდ გამოიყენებს".

მაგრამ, როგორც ალექს ფერგიუსონი ამბობს, „ჰელსინგბორგიდან" ნათხოვარ 35 წლის შვედს, დათქმულ ვადაზე დიდხანს არ დაიტოვებს.

ლარსონი: „ჩემსა და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის სამთვიანი ხელშეკრულებაა, რომლის ბოლოს შვედეთში ჩემპიონატი იწყება. მოკლედ, არა მგონია ჩემს აქ დარჩენას რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს და საერთოდაც, ახლა ჩინებული თავგადასავლის შუაში ვარ და მომავალზე ფიქრით თავის შეწუხება ნამდვილად არ მჭირდება".

თუმცა, ვის რა სჭირდება და უნდა, როგორც ჩანს სხვა საკითხია. მაგალითად, „ჰელსინგბორგის" მწვრთნელი სტიუარტ ბაქსტერი ამბობს, რომ სულაც არ არის ლარსონის მანჩესტერში დიდი ხნით დარჩენის წინააღმდეგი.

„როდესაც ის მანჩესტერელებს გაურიგდა, ვიგრძენით, რომ საუბარი სამ თვეზე უფრო მეტხნიანი კონტრაქტის შესახებ აუცილებლად დაიწყებოდა. თუმცა, ყველაფერ ამაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ადრეა. ბოლოს და ბოლოს ეს გუნდი „ბრისტოლ როვერსი" ხომ არ არის, „მანჩესტერ იუნაიტედთან" გვაქვს საქმე".

ლარსონმა, რომელმაც შვედეთში, „ჰელსინგბორგის" შემადგენლობაში 93 შეხვედრაში 36 გოლი გაიტანა, „ასტონ ვილას" 55-ე წუთზე შეუგდო და „მანჩესტერ იუნაიტედს" 2:1 მოაგებინა.

„ეს ჩემთვის დიდებული სტარტი იყო — თქვა ფეხბურთელმა — იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა სტარტი პირდაპირი მნიშვნელობით ვიხმარე ანუ გოლები კიდევ მრავლად იქნება. კარიერის მიწურულს „მანჩესტერ იუნაიტედის" სახელით გოლების გატანა ხომ ჩინებული საჩუქარია. „იუნაიტედს" როგორც პრემიერლიგაში ასევე ფეხბურთის ასოციაციის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შანსი აქვს და თუ ამ სამიდან ერთის მოგებაში მაინც დავეხმარები, თავს ბედნიერ კაცად ჩავთვლი".

**ბაპუნა ძედია**

# ანრის და გალასის თავები კედელზე





**არსენ ვენგერი** აღიარებს, რომ ტიერი ანრის მეტისმეტი ექსპლუატაცია გაუწია, თუმცა არც საფრანგეთის ნაკრების კრიტიკას ივიწყებს და ამბობს, რომ დიდი ვარსკვლავის დღევანდელი პრობლემები „ლურჯებიდან" მოდის.

მოგეხსენებათ, რვამატჩიანი დასვენების შემდეგ ანრი ახლაღა უბრუნდება მოედანს — შაბათს, ფეხბურთის ასოციაციის შეხვედრაში „ლივერპულს" გოლი გაუტანა — დასვენება კი ტრავმითა და გადაღლით გახლდათ გამოწვეული.

ვენგერი: „პრობლემა უფრო მენტალურია ვიდრე ფიზიკური. ტიერის რესურსები გამოელია, ეს კი ის სურათია, რომელსაც ყოველი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვხვდებით. ფეხბურთელები, რომლებიც მუნდიალიდან ბრუნდებიან სეზონის ბოლომდე საბრძოლველად ძალებს ველარ პოულობენ. ასეთი მოთამაშეები რაიმე მეთოდით ცოტათი მაინც თუ არ დავიცავით, მსოფლიოს ჩემპიონატების წლებში, ოქტომბერ-ნოემბერში ღონეგამოცლილები რჩებიან და ტიერისაც სწორედ ეს დაემართა".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვენგერი ანრის გადაღლაში არც საკუთარ თავს ჰბანს პირს, მაგრამ იმავდროულად რაიმონ დომენეკსაც უხსენებს შეცდომებს.

„ამხანაგურ თამაშებში ამდენი გამოძახებით ანრი და უილიამ გალასი საბოლოოდ თავით კედელს რომ მიეხლებოდნენ ეჭვი არ მეპარებოდა. სწორედ ამიტომ ვბრაზდებოდი, როდესაც ვიგებდი, რომ ბოსნიასთან და საბერძნეთთან „არსენალის" ფეხბურთელებს 90 წუთით ათამაშებდნენ".

**ბაპუნა ძედია**



**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა" „ვესტ ბრომვიჩის" ნახევარმცველი ნაიჯელ ქვოში გადაიბირა. ტრანსფერი „ჩაქუჩებს" მილიონნახევარი გირვანქა დაუჯდათ. ვესტჰემელები პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვიან და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურებიან.

**იტალიური** „იუვენტუსის" ორი მცველი — ჟან ალენ ბუმსონგი და ჯორჯო კიელინი — რამდენიმე კვირის განმავლობაში გუნდს ველარ დაეხმარება. „იუვეს" ფეხბურთელები „ბერლუსკონის თასზე" „მილანთან" მატჩში დაშავდნენ. კიელინისაც და ბუმსონგსაც მარცხენა ფეხი სტკივათ. პირველი დაახლოებით ექვსი კვირა იმკურნალებს, მეორე კი — სამი.

**ინგლისურმა** „სანდერლენდმა" „არსენალის" ახალგაზრდული გუნდიდან 18 წლის ფორვარდი ენტონი სტოკსი იყიდა და სანაცვლოდ ორი მილიონი გირვანქა გადაიხადა. სტოკსი ირლანდიელია და „არსენალში" 2004 წლის ზაფხულში გადავიდა. შეგახსენებთ, რომ „სანდერლენდის" მწვრთნელი სახელგანთქმული ირლანდიელი როი კინია.

**პორტუგალიური** „ბეირა მარის" მწვრთნელად ესპანელი ფრანსისკო სოლერი დანიშნეს, რომელმაც კარლოს კარვალალი შეცვალა. კარვალალი ორი თვის წინ ჩაუდგა გუნდს სათავეში, მაგრამ საქმე ვერააწყო. „ბეირა მარი" ამჟამად ბოლო ადგილზეა რვა ქულით.

**ინგლისური** პრემიერლიგის აუტსაიდერმა „შეფილდ იუნაიტედმა" „ლიდსიდან" მცველი მეტიუ კილგალონი იყიდა ორ მილიონ გირვანქად. კილგალონმა სამწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი პირველი შენაძენია „შეფილდისა" ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაში.

**რუსული** „სპარტაკის" ნახევარმცველი ალექსეი რებკო მოსკოვის მეტროში ცემეს. „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, მას გაძარცვის მიზნით დაესხნენ თავს. ფეხბურთელმა, ცხადია, მძარცველებს წინააღმდეგობა გაუწია და ახლა მოტეხილი ყბით საავადმყოფოში წევს.

**ინგლისური** „ტოტენჰემის" მარჯვენაფლანგელმა აარონ ლენონმა კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი „ტოტენჰემში" 2005 წელს „ლიდსიდან" გადავიდა, 48 მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი გაიტანა. 19 წლის ლენონმა შვიდჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზეც იყო.

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 35 | უოტფორდი-ლივერპული | 7.00 | 4.00 | 1.42 | 2.54 | 1.18 | 1.04 |
| 17:45 | 36 | ევერტონი-რედინგი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 19:00 | 37 | ბოლტონი-სიტი | 1.80 | 3.30 | 4.60 | 1.16 | 1.29 | 1.92 |
| 19:00 | 38 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 19:00 | 39 | ჩელსი-უიგანი | 1.20 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.11 | 4.13 |
| 19:00 | 40 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.20 | 5.30 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.84 |
| 19:00 | 41 | შეფილდი-პორტსმუთი | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| 19:00 | 42 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:00 | 43 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 21:15 | 44 | ბლეკბერნი-არსენალი | 4.30 | 3.50 | 1.75 | 1.92 | 1.24 | 1.16 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 81 | ვესტ ბრომვიჩი-ლუტონი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 82 | ბარნსლი-პრესტონი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 83 | ბირმინგემი-ლიდსი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| 19:00 | 84 | კარდიფი-საუთენდი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 85 | კოლჩესტერი-ლესტერი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 86 | ქოვენტრი-კრისტალ პალასი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 87 | დერბი-[illegible] | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 88 | ჰალი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 89 | ნორვიჩი-პლიმუთი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 90 | საუთჰემპტონი-ბერნლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 91 | სტოუკი-ვულვერჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 92 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 141 | ბლეკპული-პორტ ვეილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 142 | ბრედფორდი-სვონსი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 143 | ბრენტფორდი-ლეიტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 144 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 145 | ბრისტოლი-ტრანმერი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 146 | ქრიუ-ბორნმუთი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 147 | ჯილინგემი-დონკასტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 148 | ჰადერსფილდი-ჩელტენჰემი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 149 | ნორთჰემპტონი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 150 | ნოტინგემი-იოვილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 151 | როტერჰემი-ჩესტერფილდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 152 | სკანთორპი-ოლდჰემი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 201 | აკრინგტონი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 202 | ბარნეტი-მაკლსფილდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 203 | ჩესტერი-უიკომბი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 204 | დარლინგტონი-პიტერბორო | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 205 | ჰარტლპული-დონსი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 206 | ჰერეფორდი-მენსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 207 | ლინკოლნი-შრუსბერი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 208 | როჩდეილი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 209 | სტოკპორტი-ბოსტონი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 210 | სუინდონი-რექსემი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 211 | ტორკი-ბერი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 279 | ფოლკერკი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.27 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.10 |
| 19:00 | 281 | სტ.მირენი-მაზერველი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 282 | ჰარტსი-სელტიკი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 297 | ეირდრი-დანდი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 298 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | 2.55 | 3.40 | 2.30 | 1.45 | 1.20 | 1.37 |
| 19:00 | 299 | პარტიკი-გრეტნა | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 19:00 | 300 | ქუინი-კლაიდი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 19:00 | 301 | როსი-ჰამილტონი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 312 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 19:00 | 313 | ფორფარი-ეარი | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 314 | მორტონი-ალოა | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 19:00 | 315 | სტირლინგი-რეითი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 316 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 328 | დამბარტონი-არბროთი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 329 | ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 19:00 | 330 | მონტროუზი-ალბიონი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| 19:00 | 331 | ქუინს პარკი-ბერვიკი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 19:00 | 332 | სტენჰაუსმუირი-ელგინი | 1.50 | 3.50 | 5.60 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 333 | ემპოლი-პარმა | 2.10 | 2.90 | 3.80 | 1.21 | 1.35 | 1.64 |
| 23:30 | 334 | ტორინო-ინტერი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 335 | ატალანტა-ლივორნო | 2.00 | 2.90 | 4.30 | 1.18 | 1.36 | 1.73 |
| 18:00 | 336 | კალიარი-ასკოლი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 18:00 | 337 | კიევო-კატანია | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 18:00 | 338 | მესინა-რომა | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 18:00 | 339 | მილანი-რეჯინა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 340 | პალერმო-უდინეზე | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 18:00 | 341 | სამპდორია-ფიორენტინა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 23:30 | 342 | ლაციო-სიენა | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 351 | სპეცია-პიაჩენცა | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 344 | ბარი-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 4.30 | 1.16 | 1.41 | 1.62 |
| 19:00 | 345 | ბოლონია-ტრევიზო | 1.60 | 3.10 | 6.80 | 1.05 | 1.29 | 2.12 |
| 19:00 | 346 | ჩეზენა-ლეჩე | 1.90 | 2.90 | 4.30 | 1.14 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 347 | ფროზინონე-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19:00 | 348 | მანტოვა-იუვენტუსი | 7.50 | 3.30 | 1.50 | 2.29 | 1.25 | 1.03 |
| 19:00 | 349 | ნაპოლი-ვერონა | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 19:00 | 350 | პესკარა-ჯენოა | 4.80 | 2.70 | 1.85 | 1.72 | 1.33 | 1.09 |
| 19:00 | 352 | ტრიესტინა-მოდენა | 2.00 | 2.80 | 4.20 | 1.16 | 1.35 | 1.67 |
| 19:00 | 353 | ვიჩენცა-ბრეშა | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 343 | არეცო-რიმინი | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 414 | ოსერი-სოშო | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 23:00 | 415 | ბორდო-ლორიანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:00 | 416 | ლე მანი-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 20:10 | 417 | ლანსი-ლილი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 418 | ნანტი-ნიცა | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 23:00 | 419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.65 | 3.20 | 5.30 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 421 | სედანი-ნანსი | 2.75 | 2.90 | 2.65 | 1.41 | 1.34 | 1.38 |
| 23:00 | 423 | ტულუზი-ლიონი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 420 | რენი-მარსელი | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 21:00 | 422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 198 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 545 | სამპდორია-კიევო | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 23:30 | 546 | რომა-პარმა | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 553 | მილანი-არეცო | 1.12 | 6.20 | 18.00 | 1.00 | 1.05 | 4.61 |
| | | **ინგლისი. Carling Cup** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 542 | უიკომბი-ჩელსი | 12.00 | 5.50 | 1.20 | 3.77 | 1.09 | 1.00 |
| | | **ინგლისი. LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 550 | ჩესტერფილდი-ქრიუ | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 190 | მალიორკა-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:00 | 191 | მალაგა-სარაგოსა | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 23:00 | 192 | ვალიადოლიდი-ვილარეალი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 23:00 | 193 | რასინგ სანტანდერი-სევილია | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 23:45 | 194 | ალავესი-ბარსელონა | 5.80 | 3.50 | 1.55 | 2.18 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 195 | ხეტაფე-ვალენსია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 196 | ბეტისი-რეალი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ორმაგი მიზანი: ელიტაში დარჩენა

## ევროპამ ქართველებს თარიღები დაუთქვა


2006 წლის B დივიზიონის ჩემპიონი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

**ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ** თავი ისახელეს საქართველოს ასაკობრივმა ნაკრებებმა — ახალგაზრდები და კადეტები ევროჩემპიონატის ქვედა ეშელონში, B დივიზიონში გამოდიოდნენ და ორივე მათგანმა მოახერხა ელიტაში ალზევება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

ეს რომ ასე იქნებოდა, ჩვენი ახალგაზრდების წარმატებისთანავე, ზაფხულში ვიცოდით, თუმც სად და როდის გაიმართებოდა ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპები, უცნობი იყო. ახლახან ფიბა-ევროპამ 2007 წლის კალენდარი შეადგინა და ყველაფერი გაცხადდა. მაშ ასე, ახალგაზრდული, ანუ 20-წლამდელთა ნაკრები ევროპირველობის ფინალურ ეტაპს 6-15 ივლისს სლოვენიურ ნოვო გორიცაში ითამაშებს, ხოლო კადეტები ანალოგიურ ტურნირში-ბედს 20-დან 29 ივლისამდე საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე ცდიან.

შევახსნებთ, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა შარშან ივლისში პორტუგალიური საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო — ნახევარფინალში ფინეთი ჩამოიშორა, ხოლო გადამწყვეტი მატჩი მაკედონიელებს აჯობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა B დივიზიონში ყველას აჯობეს, ისინი მაინც აუტსაიდერებად ითვლებიან მომავალ ფინალურ ეტაპზე. საქმე ისაა, რომ ჩვენი ნაკრების ლიდერებმა ახალგაზრდულ ასაკობრივ ლიმიტს გადააბიჯეს და ამიერიდან ისინი მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თუ დაეხმარებიან. სლოვენიაში ამ მიზეზით ვერ გაემგზავრებიან ის მოთამაშეები, რომელთა მხრებზეც გადაიარა ამ ასაკობრივმა, 86-წლიანთა ნაკრებმა მრავალ ტურნირებში — მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე.

სამაგიეროდ, ახალგაზრდებს ისეთი მოთამაშეები ემატებიან, რომლებსაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საკმაო გამოცდილება და ავტორიტეტი მოუხვეჭიათ: მაკაბელი გიორგი შერმადინი, თსუელი რიჩარდ მათიაშვილი და მისივე თანაგუნდელი მიხეილ ბერიშვილი.

ასეა თუ ისე, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. სლოვენიაში ევროპის 16 საუკეთესო 20-წლამდელი ნაკრები მოიყრის თავს, რომელთაგან ორი ყველაზე სუსტი B დივიზიონში დაქვეითდება.

ელიტაში თავის შენარჩუნება ექნება მიზნად ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის დამოძღვრილ კადეტებსაც, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ასაკი გაუვიდა და გუნდი ახალი მოთამაშეებით უნდა შეივსოს. კადეტთა ნაკრებს ერთი მოთამაშე შემორჩა შარშანდელი შემადგენლობიდან — იტალიურ „რიმინიში" მოთამაშე ვაჟა მეტრეველი. კადეტებმა რომ A დივიზიონის საგზური მოიპოვეს, იგი იმ ტურნირის საუკეთესო ცენტრფორვარდი გახდა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲔᲠᲢᲐᲘᲐ**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაკგრეიდიმ რაკეტები მოიმარჯვა



8 იანვარი

**ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ 90:100 ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ**
ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ: მეისონი (28), ბრაუნი (14), ბატლერი (14)
ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ: კასელი (31), მობლი (20), ბრენდი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ᲩᲘᲙᲐᲒᲝ 77:84 ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ**
ᲩᲘᲙᲐᲒᲝ: გორდონი (24), დენგი (20)
ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ: მაკგრეიდი (31 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ჰოვარდი (16)

**ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ 104:94 ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ**
ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ: ბოიკინსი (26 ქულა, 11 პასი), აივერსონი (23), კემბი (19 ქულა, 15 მოხსნა)
ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ: პატერსონი (29 ქულა, 12 მოხსნა), ილიასოვა (15)

„ჰიუსტონ როკიტსის" სუპერბომბდამშენი ტრეისი მაკგრეიდი ძველებურად მოვიდა ქულების ხვეჭის იშტაზე. ჩანს, გუნდის მეორე ლიდერ იაო მინის არყოფნა მასზე დადებითად მოქმედებს. მაკგრეიდი თავს ხალვათად და მოედნის სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს და აგერ, ზედიზედ მეექვსედ ასცდა 30-ქულიან ზღვარს. ის ალბათ ველარ დაეწევა სეზონის სხვა გამორჩეულ მექულეებს — არენასს, აივერსონსა და ენტონის და სეზონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულში ვერ შეეცილება, მაგრამ გუნდს ბლომად თამაშებს კი აგებინებს და პლეი ოფისკენ მიარბენინებს.

ჰიუსტონელმა „რაკეტებმა" ჩიკაგოში იქაურ „ხარებთან" ძნელი ბრძოლა გადაიტანეს და მასპინძლებს ბოლო წუთებზე წაჰგლიჯეს გამარჯვება. მაკგრეიდი თავიდან ოდნავ ინერტული და გადაღლილიც ჩანდა, სამ მეოთხედში მხოლოდ 16 ქულა გააკეთა, მაგრამ მეოთხეში ათამაშდა და ამ პერიოდში 15 ქულა მოიხვეჭა. თამაშის დამთავრებამდე წუთნახევარით ადრე მან სამქულიანით 77:77 გაათანაბრა და მატჩის გადამწყვეტი მომენტიც ეს იყო. დარჩენილ დროში სტუმრებმა ერთი ორიანი და ხუთი საჯარიმო მოინადირეს.

ლაზარეთად ქცეული „ნიუ ორლეანი" ყველასთან აგებს და ორშაბათს „კლიპერსთანაც" არცთუ მოულოდნელად დამარცხდა. „კლიპერსს" გამთამაშებელი სემ კასელი გამოუჯანმრთელდა და მისი 31 ქულის დახმარებით ლოსანჯელესელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს „კრაზანები", რომელთაც ერთდროულად ოთხი ლიდერი — კრის პოლი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, დავიდ ვესტი და ბობი ჯეკსონი აკლდათ.

ლიდერ მაიკლ რედის გარეშე მოთამაშე „მილუოკიმ" ყოველგვარი „გართულების" გარეშე წააგო „დენვერთან", რომელსაც კარმელო ენტონი არ ჰყავს. გუნდს ალენ აივერსონთან შეწყვილებით 165-სანტიმეტრიანმა ერლ ბოიკინსმა ულიდერა.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ᲯᲘᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲠᲔᲜᲐᲡᲘ (ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ)**

## დასავლეთი

**ᲙᲔᲕᲘᲜ ᲒᲐᲠᲜᲔᲢᲘ (ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ)**





2007 წლის პირველი კვირის (1-7 იანვარი) საუკეთესო მოთამაშედ აღმოსავლეთში, ნუ გაიკვირვებთ და, ისევ და ისევ ჯილბერტ არენასი დასახელდა, დასავლეთში კი — კევინ გარნეტი.

არენასს რალაც არაამქვეყნიურად წარმატებული პერიოდი უდგას. ბოლო 5 კვირაში მესამედ ასახელებენ კვირის რჩეულად, მაშინ, როდესაც მანამდე 4 წელიწადში ერთხელაც არ შეუჩერებიათ მასზე არჩევანი. წინა კვირის სამ თამაშში მან საშუალოდ 33,3 ქულა, 7,3 პასი, ამდენივე მოხსნა და 2,7 ჩაჭრა იხვეჭა და თავის „ვაშინგტონს" 3 მატჩიდან 2 მოაგებინა.

დასავლეთში პირველკაცმა კევინ გარნეტმა საშუალოდ 27,5 ქულა, 14,5 მოხსნა და 5,0 პასი აკეთა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია „სან ანტონიოსთან" ოვერტაიმიანი ჯახი, რომელიც მისმა „მინესოტამ" 103:101 მოიგო. აქ გარნეტმა ძველ მოწინააღმდეგე ტიმ დანკანთან ჭიდილში 27 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი და 3 დაფარება გააკეთა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲘ: ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი), მანუ ჯინობილი (სან ანტონიო), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), კევინ გარნეტი (მინესოტა), დირკ ნოვიცკი (დალასი)

# არენა არენასს დარჩა

**ᲗᲕᲘᲡ** ლაურეატთა დამსახელებული კომისიის წევრებს დეკემბერში თავი დიდად არ უტეხიათ — ყოველგვარი სჯა-ბაასის გარეშე აღმოსავლეთში საუკეთესოდ ჯილბერტ არენასი დაასახელეს, დასავლეთში კი — კობი ბრაიანტი.

არენასს თავის კონფერენციაში პრაქტიკულად ტოლი არ ჰყოლია. 60 და 54-ქულიანმა თამაშებმა და აგრეთვე 16 მატჩში საშუალოდ მოხვეჭილმა 34,1 ქულამ და 6,2 პასმა „ვაშინგტონის" 191-სანტიმეტრიან გამთამაშებელს ყველა კონკურენტი შემოაცალა.

არც ბრაიანტს მოუპოვებია ეს ჯილდო ულირსად, ის 58 და 53-ქულიანი თამაშებით და დეკემბრის 16 მატჩში საშუალოდ მოქაფული 30,8 ქულით, 5,4 მოხსნით და 5,4 პასით იწონებს თავს.

თვის მწვრთნელად აღმოსავლეთში სწორედ არენასის და „ვაშინგტონის" თავკაცი ედი ჯორდანი დასახელდა, რომელმაც თავის გუნდს 16 თამაშიდან 12 მოაგებინა და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში ყინჩად მოლიდერე „ორლანდოს" დააწია. დასავლეთში დეკემბრის საუკეთესო მწვრთნელი კი „ფინიქსის" მეთაური მაიკ დანტონი გახდა, რომელმაც 15 მატჩიდან 13 მოიგო. ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე „ფინიქსს" 15-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, რომელთა შორის არაერთი დაუვიწყარი თამაში ერია, თუნდაც „ნიუ ჯერსისთან" ორმაგ ოვერტაიმში 161:157 მოგებული, ამერიკულად რომ ვთქვათ, სუპერთრილერი.

• ბოლოს თვის ახალბედებზეც: აღმოსავლეთში იყოჩაღა „ტორონტოს" გამოცდილმა ესპანელმა ახალწვეულმა ხორხე გარბახოსიმ (16 თამაშში საშუალოდ 10,7 ქულა და 6,5 მოხსნა), დასავლეთში კი — „მინესოტას" პირტიტველა გამთამაშებელმა რენდი ფოიმ (14 თამაშში, 9,6 ქულა, 2,3 პასი).

# ვინ შეახტება პეკინის მატარებელს?

**პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვების თვალსაზრისით წლევანდელი წელი მთელი მსოფლიოს სპორტსმენებისთვის გადამწყვეტი იქნება. რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ჩვენი ათლეტები არიან, მაგრამ საინტერესოა, ჩინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ ბატალიებში მონაწილეობისთვის ვის რა შანსი აქვს. ამის გასარკვევად ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს**



— ამბობენ, მთავარია, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და არა გამარჯვებაო...

— ამ გამოთქმას შეცდომით მიაწერენ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელს, ფრანგ ბარონ პიერ დე კუბერტენს. მავანი პენსილვანიელი ეპისკოპოსის ეს სიტყვები უმალ აიტაცა საზოგადოებამ და იგი ლამის ოლიმპიური თამაშების დევიზად იქცა, რასაც ვერ დავეთანხმებით. ოლიმპიურ თამაშებზე გასეირნება ტურისტული ფირმების მეშვეობითაც შეიძლება, სარბიელზე კი კაცი საბრძოლველად, ან მომავალი ოლიმპიური ციკლისთვის გამოცდილების შესაძენად უნდა გავიდეს. ამიტომაც ოლიმპიურ თამაშებში უბრალოდ მონაწილეობა ჩვენი თვითმიზანი სულაც არაა და არც ოლიმპიურ დელეგაციაში სპორტსმენთა სიმრავლისკენ მივილტვით. თუმცა, მეორე მხრივ, პეკინში რაც მეტი ოლიმპიელი გვეყოლება, მით უკეთესი იქნება. როგორც ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ამბობს, სპორტის მრავალ სახეობაში ჩვენი მონაწილეობა კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, რომ „საქართველო სპორტული და ოლიმპიური ქვეყანაა, რომ ტრადიციები გრძელდება, რომ ქართველი სპორტსმენებისგან კვლავაც უნდა ველოდოთ ოლიმპიურ მედლებს."

**— მაინც, რამდენი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას ვარაუდობთ?**

— ჩვენი პროგნოზები ბოლო წლების გამოცდილებას, პეკინის ოლიმპიურ ციკლში ჩვენი სპორტსმენების დიდ საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ შედეგებს და თავად ამა თუ იმ სახეობის მწვრთნელთა ვარაუდებს ემყარება. ამის შედეგად მაღალი, საშუალო და დაბალი ალბათობის შკალა გამოვიყვანეთ. სავარაუდოდ, ჩვენმა სპორტსმენებმა უარეს შემთხვევაში 35 ლიცენზია უნდა მოიპოვონ, საუკეთესო ვარიანტით — 58, მაგრამ ყველაზე რეალური 46 გვეჩვენება, რაც იმაზე მეტია, ათენსა და სიდნეიში რომ იყო. ასეა თუ ისე, პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია ჩვენი სპორტსმენებიდან პირველმა ნინო სალუქვაძემ ჯერ კიდევ შარშან მოიპოვა. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და მეორე პრიზიორ ნინო სალუქვაძისთვის პეკინური სტარტები რიგით მეექვსე იქნება და ამ მხრივ იგი ქართული სპორტის ისტორიაში რეკორდსმენია. ოლიმპიური ლიცენზიებისთვის მთავარი ბრძოლები წლეულს გაჩაღდება და პეკინში წამსვლელთა ვინაობაც თითქმის მთლიანად წლეულსვე გაირკვევა. საქმე ისაა, რომ ლიცენზიების 80 პროცენტს მფლობელი სწორედ მიმდინარე წელს გამოუჩნდება.

**— როგორ ფიქრობთ, სპორტის რომელ სახეობებში გვეყოლება მონაწილენი?**

— შესაძლებელია, რომ ასე 20 სახეობაში გამოვიდეთ. ეს სახეობებია: თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ძალოსნობა, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში, სროლა, მშვილდოსნობა, წყალში ხტომა, ცურვა, მძლეოსნობა, პლაჟბურთი, ტაეკვონდო, ნიჩბოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ჩოგბურთი და ფარიკაობა. ახლა ირკვევა, რომ აფროსნობაში ევროპის ჩემპიონი, ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიურ თამაშების მონაწილე გურამ ბიგანიშვილი პეკინის საოლიმპიადო ლიცენზიისთვის ბრძოლას აპირებს. ამ ვეტერანი სპორტსმენის აზრით, რომელიც 57 წლისა ხდება, აფროსნობაში კიდევ ერთ ჩვენს ეკიპაჟს შეუძლია ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება.

**— ერთია მონაწილეობა და მეორეა — მედლის მოპოვება. ამ მხრივ რა გეიმედებათ?**

— ამ ეტაპზე პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, რადგან ნაადრევი მეჩვენება. ვნახოთ, როგორი იქნება წლევანდელი სეზონი, პროგნოზებზე კი გაისად ამ დროს ვისაუბროთ.

**— მაშინ ასე გკითხავთ, ყველაზე მეტად ვისი გეიმედებათ?**

— როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შარშანდელი წლის ბოლოს გამართულ სესიაზე ითქვა, ოლიმპიური ნაკრები გუნდების შერჩეულ კანდიდატთა შორის როგორც რაოდენობრივი, ისე მოსალოდნელი შედეგიანობის თვალსაზრისით მთავარი დასაყრდენი ძალა, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ძიუდოისტები, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავენი და ძალოსნები არიან, აგრეთვე მოკრივეები და ტანმოვარჯიშეები. ბუნებრივია, ამ სახეობების მიმართ ყურადღებაც შესაბამისია. ვფიქრობთ, მოჭიდავეები და ძიუდოისტები ყველა წონით კატეგორიაში ლიცენზიებს მოიპოვებენ. სავარაუდოდ, შესაძლოა, ჩვენს ოლიმპიელ ძიუდოისტ ვაჟებს ერთი-ორი ქალიც დაემატოს. ძალოსნები სამ-ხუთ ლიცენზიას ვარაუდობენ, მოკრივეები სამი ლიცენზიის დასაკუთრებას...

**— ოლიმპიურ თამაშებზე დღემდე ვერ გველირსა გუნდურ სათამაშო სახეობებში გამოსვლა. არადა, ჯერ კიდევ ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე იყო საუბარი, რომ საამისოდ ყურადღება ჩვენს კალათბურთელებსა და წყალბურთელებს უნდა მივაპყროთ, რადგან ყველაზე მეტად ამ სახეობებისა გვეიმედებოდა.**

— სამწუხაროდ, ცნობილია, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებისთვის წყალბურთელთა და კალათბურთელთა მატარებელმა უკვე ჩაიარა და იმედები სალონდონოდ უნდა გადავიტანოთ, მაგრამ კვლავ მხოლოდ იმედად თუ დავრჩით, ის მატარებელი ინგლისის დედაქალაქშიც უჩვენოდ ჩავა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

სუმო

# იოკოძუნაც წაიქცა

**კოკუგიკანურ** ბაშოზე გუშინ მესამე ტურის შეხვედრები ჩატარდა და ქართველმა კოკაიმ მეორედ წააგო. ლევან ცაგურიამ წინა დღეს გამოსწორებული ბალანსი 32 წლის ექსსეკივაკე კოკუტენხოსთან ისევ გაიმინუსა. ძალისმიერ ორთაბრძოლაში უპირატესობა პირველივე წამებიდან ჩვენებურის მეტოქემ მოიპოვა და საქმე მალევე მოამთავრა. ამ მარცხით კოკაი ლიდერთა ჯგუფს კიდევ უფრო ჩამორჩა, თუმცა ცხრილის სათავეში ისეთი ამბები ტრიალებს, პროფესიული სუმოს ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელი ოდენობით რომ მომხდარა.

ოცდამეერთე საუკუნეში ჩატარებულ ბაშოებზე ჯერ არასოდეს ყოფილა, საწყის სამ ტურში ყველა —'ლიერესს წაეგოს. ოთხ ყველაზე მაღალ იერარქიულ საფეხურზე (იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე და კომოსუბი) მდგომი ათი სეკიტორიდან მიმდინარე ბაშოზე გუშინდლამდე მხოლოდ იოკოძუნა ასასიორუ და ოძეკი კაიო იყვნენ, ასპროცენტიანი მაჩვენებლით რომ მიიწევდნენ იმპერატორის თასისკენ. გუშინ კი ამ ორმაც წაიფორხილა.

დღის მოვლენა, ცხადია, იოკოძუნას დამარცხება გახდა. „ცისფერი დრაკონი" დიდ ხალიჩაზე შარშანდელი 24 სექტემბრის შემდეგ ვერავის წაექცია. კოკუგიკანშიც ისეთი რიხით დაიწყო, სენსაციაზე არც არავინ ფიქრობდა. წაუგებელ სერიას წერტილი 32 წლის დეძიმამ დაუსვა. ამ უკანასკნელს მრისხანე მონღოლი ბოლოს 2003 წლის მარტში დაემწუხრებინა. მაშინ ასასიორუ უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე ახალი ასული იყო. ამჯერად დეძიმამ იოკოძუნას მძლავრი ცუპარებით — კორპუსში ხელის კვრით გადაუძახა არენიდან. ოძეკი კაიო კი ლიდერობას რიგითმა მაეგაშირამ ამინისიკიმ გამოამშვიდობა.

უმაღლეს დივიზიონში მოჭიდავე ორმოცდაორი დევკაციდან წაუგებელი მხოლოდ ოთხი დარჩა. ოთხივე რიგითი მაეგაშირა: უმსუბუქესი სეკიტორი, 124-კილოგრამიანი ამა, ყველაზე დაბალი, 168-სანტიმეტრიანი ტაინოსიმა, ტამაკასუგა და ტამანოსიმა. მესამე ტურამდე მათ გვერდით ესტონელი ბალტიც იდგა, მაგრამ გუშინ წააგო და თან ისეთი ტრავმა მიიღო, სავარაუდოდ, ბაშოს ბოლომდე ვეღარ შეძლებს არენაზე ასვლას.

დღეს მეოთხე ტურია და კოკაი ლიდერ ამას ეჭიდავება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ძიუდო

# რუსები თბილისში ტმენოვით მოდიან



ტამერლან ტმენოვი

**წლეულს** ძიუდოისტებს შარშანდელზე მძიმე სეზონი ელით. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთაშორისო ტურნირებიც გამორჩეულად დაძაბული იქნება. მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულების დარიგება დაიწყება, ოღონდ ეს აპრილის ბოლოდან. იქამდე ჩასატარებელ მსოფლიოს თასის ეტაპებს კი ნაკრებები შემადგენლობების ჩამოსაყალიბებლად და დიდი ტურნირებისთვის კარგად მოსამზადებლად გამოიყენებენ.

საერთაშორისო სეზონს 27-28 იანვარს თბილისის მსოფლიოს თასი გახსნის. წინა წლებში პირველი ტურნირი იაპონური, ძიგარო კანოს მემორიალი იყო. თბილისური შეჯიბრი მხოლოდ მის შემდეგ მოდიოდა. სულ რაღაც ერთ კვირაში კი პარიზის სუპერთასი იმართებოდა ხოლმე. ამჯერად ძიგარო კანო საერთოდ ამოვარდა, ხოლო ქართულ-ფრანგულ პირველობებს შორის პაუზა ორკვირიანი გახდა.

თბილისის მსოფლიოს თასს ტრადიციულად სპორტის სასახლე უმასპინძლებს. ჩამოსვლის მსურველთა განაცხადების მიღება ერთ კვირაში შეწყდება და მხოლოდ მაშინ გაირკვევა, რამდენად ძლიერ ტურნირს უნდა ველოდოთ, თუმცა წინასწარი განაცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ ტატამზე სერიოზულ ბრძოლებს ვიხილავთ.

„ისეთ პერიოდში გვიწევს ტურნირის ჩატარება, ვფიქრობდით, ძლიერი შემადგენლობის შემოკრება გაჭირდებოდა — გვითხრა გუშინ ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ უსუფაშვილმა — უკვე თვრამეტი ქვეყნის ფედერაცია შეგვეხმიანა, არადა, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ჯერჯერობით ჩამოსაყვან ძიუდოისტთა გვარები მხოლოდ სამმა ნაკრებმა გამოგვიგზავნა და თუნდაც მარტო ამ შემადგენლობებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძლიერი ტურნირი გამოვა. თავად განსაჯეთ, რუსებს ორი შემადგენლობით ჭიდაობა აქვთ გადაწყვეტილი, თან, ძირითადად, პირველ-მეორე ნომრებით. თუ 15 იანვრამდე აზრი არ შეიცვალეს, მაშინ სპორტის სასახლის ტატამზე ევროპის შარშანდელი ჩემპიონები — ივან პერშინი (90 კგ) და რუსლან გასიმოვი (100 კგ) გავლენ. განაცხადშია მძიმეწონოსანი ტამერლან ტმენოვიც. იაპონელთაგან კი გამოსარჩევია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იასუიუკი მუნეტა (+100 კგ) და ტაკამასა ანაია (100 კგ). ცნობისთვის, ამ უკანასკნელმა თბილისში შარშანაც იჭიდავა და ჩემპიონიც გახდა."

პეკინის სალიცენზიო ქულების გაცემის უფლება თბილისის ტურნირს მხოლოდ 2008 წელს ექნება. წლეულს კი სალიცენზიო სეზონი აპრილის ბოლოს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რომაული მსოფლიოს თასით გაიხსნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ახალი ჩამოვიდა!

**როგორც ფეხბურთის ან სხვა სპორტული თამაშების გულშემატკივარს გაახარებს და ცნობისწადილს აღუძრავს უცნობი მოთამაშის მოწვევა და გუნდში ჩაყენება, ისეთივე დიდი სიხარულის მომგვრელია ცხენოსნობის მოყვარულისთვის ახალი ბედაურის ჩამოყვანა. სულ ერთია — სადოღე, სანაშენო, სპორტული მიზნებიდან რომლისთვის იქნება იგი განკუთვნილი**

**დელისის** იპოდრომს არასოდეს ჰკლებია სხვადასხვა ჯიშის ცხენები — დოღების, სარბოლი, კლასიკური ცხენოსნობის (გაწვრთნილობის, სამჭიდის, დაბრკოლებათა გადალახვის) ბედაურები. აი, ასეთ ფართო არჩევანშიც კი გამოირჩეოდნენ შუა აზიის, აგრეთვე დაღესტნისა და სტავროპოლის ცხენსაშენებიდან ჩამოყვანილი ახალთექური ჯიშის წარმომადგენლები. ეს ჯიში უძველესადაა მიჩნეული მსოფლიოში. მეცხენეობის სპეციალისტები მის წარმომავლობას და დღევანდელი თურქმენეთის მიწა-წყალზე გავრცელებას უძველეს სპარსულ ცხენებს უკავშირებენ. შუა საუკუნეებში, ვიდრე XIX საუკუნემდე, ისინი „თექურის" სახელით მოიხსენიებოდნენ ახლანდელი თურქმენეთის ცნობილი რეგიონის — თექის ოაზისის მიხედვით. „ახალ" მეზობელი სამეურნეო მხარეა, სადაც, ისევე როგორც თეჯენის ოაზისში, მეცხენეობასაც მისდევენ. დღეს საცხენოსნო ლიტერატურაში სწორედ ეს უფრო ვრცელი გეოგრაფიული შინაარსის ტერმინია გავრცელებული.

სპორტში ეს ცხენები ორიგინალური, ნატიფი გარეგნობის გამო უფრო გაწვრთნილობის სახეობაში გამოდიოდნენ (ცირკის არენებსაც ამშვენებდნენ). ახალთექური იყო ყაზახეთში, ლუგოვოის ცხენსაშენში გაზრდილი შავრა ულაყი „აბსენტი". მასზე ამხედრებულმა რუსმა სპორტსმენმა ფილატოვმა რომის XVII ოლიმპიადაზე (1960 წელს) ჩემპიონობა მოიპოვა. „აბსენტის" მამა — ლურჯა (შეიძლება უფრო შეეფერებოდეს ჩვენს მთაში გავრცელებული ნისლისფერა) „არაბი" (ეს ამ ცხენის სახელია და არა ჯიში) მონაწილეობდა 1935 წლის შუააზიური ცხენების დიდ გამოცდაში: აშხაბად-მოსკოვის გადარბენაში (8300 კმ 84 დღეში). შემდეგ იგი 10 წლის მანძილზე მოსკოვში, სხრკ შეიარაღებული ძალების თავლაში იდგა (აქ მას უფრო საბჭოურად ადაპტირებული სახელი — „კაზბეკ" უწოდეს). 1956 წელს, როდესაც საბჭოური ვოლუნტარიზმის ახალი ტალღა აზვირთდა და ქვეყნის სამეურნეო ინტერესებისათვის ცხენსაშენების შეკვეცა დაიწყეს, საბჭოთა მთავრობამ დიდი ბრიტანეთის დედოფალს აჩუქა 3 წლის ზერდაგი (მუქი ჩალისფერი) ულაყი „მელექუში", რომელიც სამეფო თავლის მშვენება იყო. 1971 წელს იგი მონაწილეობდა ლონდონის დიდ ცხენოსნურ ალლუმში, რომელიც საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფეი-ს) 50-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ ჯიშის ცხენებს დაბრკოლებათა გადალახვაშიც გამოუჩენიათ თავი. მეცხენეობის ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში (1984 წ) ამის დასადასტურებლად დასახელებულია „გერეკი". იგი კი საქართველოს ცხენი იყო — ოჩამჩირის რაიონის საცხენოსნო კლუბის რახსი ფაშატი. „ახალი ჩამოყვანილი რომ იყო, ისინდსა და ცხენბურთსაც „თამაშობდა", — გვითხრა ამ კლუბის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ნარმანიამ. — მერე ჩვენი კლუბის უძლიერესი კონკურისტები (იური ბარათელია, მპერ სამველიანი, თამაზ ჯღარკავა) გამოდიოდნენ ამ ბედაურით და წარმატებებიც მოუპოვებიათ მაღალი დონის ასპარეზობებზე. 20 წლის ასაკამდე ემსახურა იგი ქართულ სპორტს, სანამ საბედისწეროდ არ გაცივდა ბოლო მგზავრობისას". ამ ფაშატის კბილა ახალთექური იაბო „გარუნი" 80-იან წლებში დელისის იპოდრომის ცხენთა გაქირავების თავლაშიც გვყავდა. იგი სენაკის (მაშინდელი ცხაკაიას) კლუბიდან მოიყვანეს დროებით განათხოვრებული ულაყის „ზნაურის" ბადლად (ცხენბურთის სათამაშოდ სჭირდებოდათ). ცეცხლოვანი ტემპერამენტის „ზნაური" მისთვის უცხო ამპლუას შეეწირა. „გარუნი" კი ღრმა სიბერემდე დაუზარებლად შრომობდა იპოდრომის მანეჟზეც და ტურისტულ გზებზეც. წლების მანძილზე ბევრი ახალთექური ჰყავდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის" საცხენოსნო ბაზაზეც. გიორგი მეფეც („დიდოსტატის მარჯვენა", 1970-71) და მაცი ხვიტიაც (1966) ამ ბედაურებზე სხედან (კინომ იცის ასეთი იპოლოგიური პირობითობები).

ახალთექური ჯიში XX ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთისა და უკრაინის მეცხენეებმაც გაითავისეს. მართალია, იქ ცხენებს მოაკლდათ მათთვის დამახასიათებელი ეგზოტიკური იერი, მაგრამ მოემატათ აზოვანება, სპორტული შესაძლებლობები. ეს მოჰყვა არა მარტო საკვებისა და ჰავის შეცვლას, არამედ წმინდა ინგლისურისა და სხვა დასავლური ჯიშების სისხლის დართვას. 2004 წელს „კავკასიის თასის" ტურნირზე სომხეთის გუნდმა ჩამოიყვანა უკრაინაში ნაყიდი 2 ახალგაზრდა ანგლოთექური ცხენი (ფაშატი „სარინგიული" და ულაყი „ფილერი"), რომელთაც კარგი მონაცემები გამოავლინეს.

...აი, ამ ჯიშის ულაყი ჩამოიყვანეს შობის წინა დღეს დელისის იპოდრომზე. ქურანა „აზიმუტი" 3 წლისაა. მას ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტულ სკოლაში მოუვლიან და გაწვრთნიან. პატრონის სურვილით სკოლას შეუძლია იგი თავისი სპორტული მიზნებისთვის გამოიყენოს. საქართველოში ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ ოჯახში, სოფელ-ქალაქში ახალი პირუტყვის გამოჩენას, საკუთარი საქონლის ნამატს. და თუ ეს შობის, ახალი წლის დღეებში ხდებოდა, ამგვარი სიახლე თავლასა თუ ბოსელში სასიკეთო ნიშნად მიაჩნდათ. ფეხბედნიერი ყოფილიყოს წლევანდელ შობას „აზიმუტის" მოსვლა თბილისის საცხენოსნო კრაზე!

**ნოდარ ებრალიძე**

*ავტორის ფოტო*



## რეგულარული ჩემპიონატი

8 იანვარი

**ლოს ანჯელესი 1:2 ედმონტონი**

*0:0 0:1 1:0 0:1 (ოვერტაიმი)*

0:1 სტოლი (28), 1:1 პუშკარევი (46), 1:2 ჰეიგა (62)

# ლუონგო, ჰითლი, ტორნტონი



რობერტო ლუონგო

„ვანკუვერის" გოლკიპერი რობერტო ლუონგო, „ოტავას" თავდასხმელი დენი ჰითლი და „სან ხოსეს" ცენტრი ჯო ტორნტონი გასული კვირის ნჰლ-ის ვარსკვლავებად დაასახელეს.

პირველ ვარსკვლავად „ვანკუვერის" კარის დარაჯი აღიარეს, რომლის დიდებული თამაშის წყალობით „კენექსი" თავის დივიზიონში გალიდერდა. იტალიური წარმოშობის კანადელმა გასულ კვირას ოთხივე შეხვედრა მოიგო, რომლებშიც საშუალოდ 1,92 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 94 პროცენტს იგერიებდა. შედეგად ლუონგოსა და „ვანკუვერის" მოგებათა სერიამ შვიდს უწია.

გასულ კვირას ლუონგომ შურისძიებაც მოასწრო და თავის ყოფილ გუნდ „ფლორიდას" დამარცხებაში ლომის წილი დაიდო, როცა ბულიტების სერიაში 6-დან 5 საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

ჯეისონ სპეცას, მაიკ ფიშერისა და ანტუან ვერმეტის არყოფნაში „ოტავას" ლიდერობა დენი ჰითლიმ იკისრა და გასულ შვიდდღეულში 8 ქულა (5+3) დააგროვა. „სენატორების" სნაიპერმა განსაკუთრებით ლიგის ლიდერი „ბუფალო" არ დაინდო, რომელთანაც სეზონში უკვე მესამე ჰეთ თრიქი შეასრულა და ამას კიდევ ორი შედეგიანი გადაცემა დაურთო. ჰითლიმ თავი არც „ფილადელფიასთან" შეირცხვინა და პენსილვანიური ესკადრილია ორი გოლით „დაასაჩუქრა".

53 ქულით (25+28) ჰიტლიმ ბომბარდირთა დავაში მეშვიდე პოზიციაზე აინაცვლა.

ძველებურ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ჯო ტორნტონი და მისი შედეგიანობა „სან ხოსესაც" დაეტყო. წინა კვირაში ტორნტონმა 7 ქულა დააგროვა და შეიდჯერვე პარტნიორებს დაეხმარა გოლების გატანაში.

**ბაჩა ლომაშვილი**



სიდნი კროსბი

**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 64(20+44); მარიან ჰოსა (ატლანტა) 58(26+32); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 56(26+30); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 54 (23+31); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 54(26+28); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 54(16+38); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 53(24+29); დენი ჰითლი (ოტავა) 53(25+28); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 53(11+42); ჯერომ იგინლა (კალგარი) 53(23+30); მარკ სავარი (ბოსტონი) 52(14+38); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 51(22+29).

**გოლეადორები:** სენ ლუი, ოვეჩკინი, ჰოსა 26-26; ჰითლი 25; სელიანე 24; ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი), ლეკავალიე, ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი), იგინლა, ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 23-23; ტომაშ ვანეკი (ბუფალო), სტრაკა, კრის დრური (ბუფალო) 22-22; ბრაიან როულსტონი (მინესოტა), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), რაიან სმითი (ედმონტონი) 21-21.

**ასისტენტები:** კროსბი 44; ტორნტონი 42; სავარი, იაგრი 38-38; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 37; დანიელ ბრიარი (ბუფალო), როდ ბრინდამორი (კაროლინა), მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი), კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 33-33; პოლ კარია (ნეშვილი), ჰოსა, სტოკ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი) 32-32; ლეკავალიე 31.

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), ტომ პრესინგი (ოტავა) 23-23; ვანეკი 22; პრონგერი, სელიანე 21-21; რომან ჰამრლიკი (კალგარი) 20; კრის კუნიცი (ანაჰაიმი 18); მარეკ მალიკი (რეინჯერსი), სტრაკა, ბრაიან კემპბელი (ბუფალო), იაგრი 17-17; ჯეისონ პომინვილი (ბუფალო), იაროსლავ სპაჩეკი (ბუფალო), დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი), მეტიუ ლომბარდი (კალგარი), მარტინ ჰავლატი (ჩიკაგო), კროსბი 16-16.

## მეკარეები

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,04; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,07; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,17; მარტი ტურკო (დალასი) 2,21; ვესა ტოსკალა (სან ხოსე) 2,33; კრის მეისონი (ნეშვილი) 2,36; ევგენი ნაბოკოვი (სსან ხოსე), 2,36; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,36.

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** მეისონი 92,8; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,7; ბროდო 92,7; ჟიგერი 92,4; ტომაშ ვოკუნი (ნეშვილი) 92,0; რეი ემერი (ოტავა) 91,9; კიპრუსოფი 91,9; ნაბოკოვი 91,6; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 91,6.

**მოგებული მატჩები:** ბროდო 25; რობერტო ლუნგო (ვანკუვერი) 24; ჟიგერი 23; რაიან მილერი (ბუფალო), ტურკო, ჰაშეკი 21-21; კარი ლეჰტონენი (ატლანტა), კიმ უარდი (კაროლინა), კიპრუსოფი 19-19; ტიმ ტომასი (ბოსტონი), ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 18-18.

**შათაუტები:** ბროდო 7; ჰაშეკი 5; ჟიგერი, ტურკო, მეისონი, დიპიეტრო, ლეჰტონენი, კიპრუსოფი 4-4; ემერი, ნაბოკოვი, ტოსკალა, დუეინ როლოსონი (ედმონტონი) 3-3.

# ყოჩი რიჩი და კიდევ თოთხმეტი

## მსოფლიოს რჩეულები გადათვალა

რაგბის საერთაშორისო საბჭომ გასული წელი ახლალა შეაჯამა და მწვრთნელ-მორაგბეების გამოკითხვით 2006 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები შეადგინა. თხუთმეტეულში ყველაზე მეტი მორაგბე ახალ ზელანდიას ჰყავს, რაკი იქაურ სიამაყეს „ოლ ბლექსს“ ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. „შავებმა“ სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრეს ტურნირზე, სამ ერზე ხომ ულაპარაკოდ იჩემპიონეს და ევრო თუ შინაური ტესტებისას მეტოქეებისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს.

ერთიც, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებში ერთის გარდა ყველა თავისი ქვეყნის ნაკრების კეპოსანია. ის ერთი კი ახალზელანდიელი რეჯან კინგია. კინგი ლეგიონერია, უელსურ „ჰლანელში“ თამაშობს, ზელანდიური წესებით კი ლეგიონერს ნაკრებს არ აკარებენ. ამიტომაც იყო „ოლ ბლექსის“ დალალებიანი ჯილა და კაპიტანი ტანა უმაგა მხოლოდ შარშან შემოდგომაზე რომ წავიდა ევროპაში სათამაშოდ, თორემ აქამდე იმდენი სარფიანი ევროქონტრაქტი ედო წინ, რომ სათვალავი თვიონაც აერია.

გამოკითხვით შარშანდელი სიმბოლური ნაკრების ყოჩი, ახალზელანდიელი რიჩი მაკქოუა, ვინც თავისი მაგარი კაპიტნობა სამ ერზე დაამტკიცა.

დანომრილი სიმბოლური ნაკრები კი ასეთია:

15. კრის ლატამი (ავსტრალია)

ლატამი ულაპარაკოდ აირჩიეს ბოლო მცველის პოზიციაზე. თავისი ცივსისხლიანობით და ჯიგრიანი თამაშით ლატამი დაცვაში კედელივით იდგა და შეტევაშიც შეუჩერებელი იყო.

14. შეინ ჰორგანი (ირლანდია)

ერთი პერიოდი ჰორგანი თითქოს მივიწყებული იყო, მაგრამ შარშან ირლანდიელმა მოიერიშემ ძველი დროება გაიხსენა და ერთი-ერთზე კონტაქტისას უბადლო იყო. ნოემბრის ტესტებისას ჰორგანმა მეტოქეები აწიოკა და შუამარბადაც მშვენივრად ირაგბა, რაც მის უნივერსალიზმზე მიუთითებს.

13. რეჯან კინგი (ახალი ზელანდია, ჰლანელი)

რეჯან კინგს შარშან სანაკრებო სეზონი მხოლოდ იმის გამო გაუცდა, რომ ზელანდიური რაგბის კანონებით ლეგიონერი ნაკრებს ვერ გაეკარება. სამაგიეროდ, კინგმა საკლუბო დონეზე ისე მაგრად ირაგბა, შარშან აკაშკაშებული ბევრი მენაკრებე დაჯაბნა. კინგს ზაფხულშივე უწინასწარმეტყველებდნენ ზე-14-ში და შესაბამისად „ოლ ბლექსში“ დაბრუნებას“.

12. იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი)

თუ საფრანგეთმა შარშანდელი სეზონი არასტაბილურად ჩაატარა, ეს იანიკ ჟოზიანის ბრალი სულაც არაა. პირიქით, ჟოზიანმა მთელი სეზონი სტაბილურად ითამაშა და მეორე შუამარბის პოზიციაზე გაუვალი იყო.

11. ლოთე ტუკირი (ავსტრალია)

გამოცდილი რაგბილიგელს კვლავ 13-კაცა რაგბიში დაბრუნებას უპირებდნენ, მაგრამ ტუკირი ტრადიციულ რაგბში დარჩა და შარშანდელი სეზონი რომ იტყვიან, იფრინა. მულატი გარემარბი შეუდარებელი იყო დაცვაშიც და შეტევაშიც. ამასთან ტუკირი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ახალზელანდიელთა გოლიათს რიჩი მაკქოუს ერთი-ერთზე უკან დაახევინა.

10. დენ კარტერი (ახალი ზელანდია)

კაცი, რომელსაც 10 ნომრის პოზიციაზე კონკურენტი არ ჰყოლია. დენ კარტერი წლევანდელ მსოფლიოს თასზე ახალ ზელანდიელთა მთავარი იმედია.

9. მეტ ჟიტუ (ავსტრალია)

შარშანდლამდე ჟიტუს შერკინების გამთამაშებლად არასდროს ეთამაშა, მაგრამ ექსპერიმენტმა გაამართლა, ჟატუმ თვით ავსტრალიელთა ჯილა და ლეგენდარული კაპიტანი ჯორჯ გრეგანი დასვა სათადარიგოებში. ამით ყველაფერი ნათქვამია.

8. დენის ლიმი (ირლანდია)

ირლანდიური „მანსტერსის“ მორკინალს შარშან ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. კლუბშიც და ნაკრებშიც ლიმიმ უბადლოდ ითამაშა. ნოემბერში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ ისე მაგრად ირაგბა, რომ სიმბოლურ ნაკრებში იქვე დაიბევა ადგილი.

7. რიჩი მაკქოუ (ახალი ზელანდია)

უკომენტაროდ — თუ რამე ჯილდოა, ყველა რიჩი მაკქოუს ეკუთვნის. მან უკვე დაიბევა ადგილი ახალზელანდიური რაგბის დიდების დარბაზში!

6. ჯერი კოლინზი (ახალი ზელანდია)

ჯერი მაკქოუს მარჯვენა ხელია. ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, კოლინზის ბოჭვებს ვერ გაექცევა. ამასთან „ოლი ბლექსის“ შერკინების ფრთა შეტევაში ზვავივითაა. თუ ბურთი მოიხელთა ბარე ნახევარი გუნდი სჭირდება მის შეჩერებას.

5. პოლ ოკონელი (ირლანდია)

კაცი, რომელიც შავ სამუშაოს პეწიანად და ლაზათიანად ასრულებს. შარშან თუ ირლანდიამ რამეს მიაღწია, ეს უპირველესად მისი ბრგე და რაც უნდა პარადოქსული იყოს სპრინტერი მეორეხაზელის დამსახურებაა.



ყოჩთა-ყოჩი რიჩი მაკქოუ

4. კრის ჯეკი (ახალი ზელანდია)

მოკლედ და კონკრეტულად: რა უნდა იყოს ისეთი, რასაც კრის ჯეკი ვერ გააკეთებს. ახალი ზელანდიის რაგბის ისტორიაში იგი უკვე ალიარეს ერთ-ერთ უდიდეს მოთამაშედ.

3. კარლ ჰეიმანი (ახალი ზელანდია)

მისი მოკლე დახასიათება ასეთია: ურჩხული რომელიც ნებისმიერ მეტოქეს გადაყლაპავს. არაადამიანური ძალის პატრონი მორკინალი.

2. რაფაელ იბანიესი (საფრანგეთი)

იანიკ ჟოზიონთან ერთად იბანიესი იყო ერთადერთი, ვინც თავის მხრებზე ათრია საფრანგეთის ნაკრები. იყო დრო „კასტრში“ თამაშისას ჩვენი ლევან ცაბაძის და რაფაელ იბანიესის ტანდემი მთავარ გამწევ ძალად ითვლებოდა ფრანგულ ლიგაში.

1. ოზ დუ რანტი (სამხრეთ აფრიკა)

შარშანდელ სეზონში სამხრეთ აფრიკა კი ჩაფლავდა, მაგრამ ოზ დუ რანტი იყო ერთადერთი, ვინც მეტოქეებმა უკან ვერ დაახევინეს.






# კაროლინა: დედოფლის ევროპელი დედოფალი

**კაროლინა კლუფტმა** თავის ჯილდოებს ერთიც მიათვალა. უცნობისელი შვედი შვიდჭიდელი 2006 წლის საუკეთესო მძლეოსან ქალად დაასახელეს ევროპაში. გამოკითხვაში კლუფტმა აჯობა ბელგიელ სპრინტერ კიმ გევარტსა და რუს ჭოკით მხტომელ ელენა ისინბაევას. შარშანდელ გამოკითხვაში კლუფტს ისინბაევასთან პაექრობაში სულ ცოტა დააკლდა, წლეულს კი მან იოლად აჯობა ყველას.

23 წლის უნივერსალი მძლეოსნისთვის 2006 წელი მართლაც ზღაპრული გამოვიდა, ქერა კაროლინამ სამივე შეჯიბრი უდიდესი უპირატესობით მოიგო, მათ შორის ევროპის ჩემპიონატიც, რომელიც მშობლიურ გიოტებორგში გაიმართა. შუბის ტყორცნა, ბირთვის კვრა, ხტომა და სირბილი — ამ გოგონას ყველაფერი კარგად რომ ხელეწიფება, ეს ყველგან გამოჩნდა, სადაც შარშან კლეფტმა ფეხი დაადგა. შვედგოგო მსოფლიოს წლის მძლეოსანი ქალის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტიც გახლდათ, მაგრამ ევროპაში აშკარად საუკეთესომ ამერიკელი 400-მეტრიანი სანია რიჩარდსის კონკურენციას ვერ გაუძლო.

**ბოტე ყორშია**



# მეფე კარლოსი აფრიკაშიც მეფობს

Lisboa · Dakar 1979 2007 Dakar euromilhões

**წლეულს** 29-ედ ტარდება ლეგენდარულად ქცეული ურთულესი ავტო-მოტო მარათონული საწვალებელი, რომელსაც თავიდან „პარიზ-დაკარის რალი“ ერქვა, სადღეისოდ კი „ლისაბონ-დაკარის“ სახელით მოიხსენიება.

აფრიკის უდაბნოსა და უგზოობაში ორკვირიანი ჯახირი უმძიმესი გამოცდაა ტექნიკისთვის და რაც მთავარია, ეკიპაჟებისთვის. სენეგალის ლედაქალაქ დაკარამდე მიღწევაც კი გმირობას ნიშნავს. პოდიუმზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს წლევანდელი რალი-რეიდი სარეკორდოა მონაწილეთა რაოდენობითაც და დისტანციის სიმოკლითაც. ორ კონტინენტზე გასავლელი გზა უსაფრთხოების თვალსაზრისით თითქმის ათასი კილომეტრით დამოკლდა.

მიზეზი მალის „მებრძოლთა და ღვთისმსახურთა სალაფისტური დაჯგუფების“ მუქარა გახდა, რომ ყოველმხრივ შეუშლიდნენ ხელს მათი ქვეყნის ტერიტორიაზე რალის მონაწილეთა გავლას. მალის მთავრობამ მრბოლ-მაყურებელთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ვერ იკისრა და ორგანიზატორებსაც რალა დარჩენოდათ, უკან დაიხიეს. შედეგად, მავრიტანია-მალის ყველაზე მარათონული ეტაპი გაუქმდა.

ერთი სიტყვით, 2007 წლის „დაკარში“ 525 „საბრძოლო“ მანქანა „მხოლოდ“ 7915 კილომეტრს დაფარავს.

პორტუგალია-ესპანეთის ნორმალურ გზებზე ორი ეტაპის შემდეგ მონაწილეებმა თავიანთი უამრავტონიანი ბარგი-ბარხანა ბორანზე დატვირთეს და მაროკოში გადაცურდნენ. სწორედ „შავ კონტინენტზე“ დაიწყო პირველივე რბოლით „ნამდვილი“ რალი.

აღსანიშნავია, რომ ლიდერი სამივე ჩათვლაში შეიცვალა.

მოტომრბოლთა შორის 648 კილომეტრიანი „ტრასა“ ყველაზე სწრაფად „დაკარის“ მოქმედმა ტრიუმფატორმა ესპანელმა მარკ კომამ დაძლია, და გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე საფეხურზე აინაცვლა ლიდერი კი მისი თანამემამულე ესიდრე ესტევე პუჟოლი („გალუაზ KTM“) გახდა.

ავტოეკიპაჟთა შორის „ფოლკსვაგენის“ სამხრეთამერიკელმა მძღოლმა ჟინელ დე ვილერსმა იფოჩალა. საერთო ჩათვლაში მეწინავეობა კი მისმა თანაგუნდელმა, კლასიკურ რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კარლოს საინსმა იგდო ხელთ. ესპანელი „მეფე კარლოსი“ წუთით და ორი წამით უსწრებს დე ვილერსს.

სატვირთო მონსტრების ჭიდილში დაწინაურდა ის, ვისაც ეს ალბათ ყველაზე მეტად ეკუთვნოდა. „დაკარის“ ხუთგზის ტრიუმფატორმა რუსმა ვლადიმირ ჩაგინმა („კამაზმასტერი“) ათი წუთი მოუგო ჰოლანდიელ ჟერარ დე როის („ჯინაფი“) და თითქმის ამდენივეთი უსწრებს საერთო ჩათვლაში.

გუშინ ჩაგინმა მეოთხე ეტაპზეც ყველას აჯობა, მოტოებში ამჯერადაც კომამ იმარჯვა, „მსუბუქ“ ავტოებში კი პირველი იყო ყოფილი მფრინავი ფრანგი ჟან-ლუი შლესერი, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა საინსმა საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

**გია ახალაძე**

# მსოფლიოს თასი
## ექვსეტაპა რბოლა. 1-7 იანვარი



ვირპი კუიტუნენი



ტობიას ანგერერი

# სათხილამურო ტური: ულვანგის იდეამ ფრთები გაშალა

**გასულ უქმეებზე** იტალიურ კალდიფიუმეში დასრულდა ისტორიაში პირველი მრავალდღიანი სათხილამურო რბოლა „ტურ დე სკი".

ასეთი შეჯიბრის ჩატარების იდეა ცნობილ ნორვეგიელ მოთხილამურეს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვეგარდ ულვანგს ეკუთვნის და იმისთვისაა მოწოდებული, რომ ბოლო წლებში ბიატლონის ჩრდილში მოქცეულ ბარის თხილამურობას ძველებური პოპულარობა დაუბრუნოს და მდიდარი სპონსორები შესძინოს.

უთოვლო ზამთრის გამო „ტურ დე სკის" პროგრამა მცირედით შეიცვალა — პირველი, ჩეხური ეტაპი ვერ ჩატარდა, მაგრამ რაც ჩატარდა, მშვენიერი სანახავი გამოდგა. ახალი წლის პირველ შვიდ დღეში ქალებმაც და კაცებმაც ექვსექვსი რბოლა გამართეს. ჯამში ქალებმა 60 კილომეტრი დაფარეს, ხოლო კაცებმა — 102. ამ ერთ კვირაში ყველაფერი იყო — ორი სპრინტი, დუატლონი, 10,15 და 30 კილომეტრზე რბოლები მასობრივი სტარტით, ინდივიდუალურად, გამოდევნებით. ერთგვარი მინი მსოფლიოს ჩემპიონატი გამოვიდა, ოღონდაც ცალკეული ეტაპების მოგებას ფასი არ ჰქონდა — ყველა დისტანციის ჯამში უნდა გევარგა, დაახლოებით ისე, როგორც მრავალდღიან ველოტურებში.

საბოლოო ჯამში იმის თქმა შეიძლება, რომ ულვანგის იდეამ გაამართლა — პირველმა მრავალდღიანმა სათხილამურო რბოლამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა და ცნობილი, აღიარებული ხალხის გამარჯვებით დასრულდა — ქალებში მიმდინარე მსოფლიოს თასის ლიდერმა, ფინელმა ვირპი კუიტუნენმა იპირველა, ხოლო კაცებში შარშანდელი მსოფლიოს თასის გამარჯვებულმა, გერმანელმა ტობიას ანგერერმა და ამის წყალობით მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის სათავეშიც მოექცა.

კუიტუნენი მართლაც შეუდარებელი იყო — სპრინტიც მოიგო, მასსტარტიც და გამოდევნებით რბოლაც. ვირპისთვის კონკურენციის გაწევას მხოლოდ სახელგანთქმული ნორვეგიელი მარიტ ბიორგენი ცდილობდა, თუმცაღა საბოლოო ჩათვლაში ფინელს მაინც ბევრით ჩამორჩა.

კაცებში ბრძოლა გაცილებით მწვავე იყო და მოულოდნელად, ანგერერს ისეთმა ხალხმა გაუმართა ბრძოლა, არავინ რომ არ ელოდა — გუშინდელმა იუნიორებმა: რუსმა ალექსანდრ ლეგკოვმა, ნორვეგიელებმა სიმენ ოსტენსენმა და პეტერ ნორტუგმა და გერმანელმა ფრანც გერინგმა.

**გია მუჯირი**

## ქალები

### ჯამური 60 კმ

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 2სთ. 20წთ. 15,3წმ. |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 2:21.32,8 |
| 3. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | 2:21.36,1 |
| 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 2:21.37,1 |
| 5. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 2:21.39,1 |

### მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 822 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 634 |
| 3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 466 |
| 4. კატერინა ნომინოვა (ჩეხეთი) | 432 |
| 5. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | 399 |

## კაცები

### ჯამური 102 კმ

| | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 3სთ. 29წთ. 49,7წმ. |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 3:30.36,1 |
| 3. სიმენ ოსტენსენი (ნორვეგია) | 3:30.39,9 |
| 4. პეტერ ნორტუგი (ნორვეგია) | 3:30.56,7 |
| 5. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 3:30.59,1 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 602 |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 467 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 432 |
| 4. ეიდარ რიონინგი (ნორვეგია) | 388 |
| 5. ევგენი დემენტიევი (რუსეთი) | 261 |



# ლადომ მოგებით დაიწყო

**საქართველოს** საუკეთესო ჩოგბურთელები ირაკლი ლაბაძე და მაკა ჩახნაშვილი სეზონის პირველი სლემტურნირის — ავსტრალიის ღია პირველობის ძირითად ბადეში მოხვედრას საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეეცდებიან. ავსტრალიის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბადე დღეს გამოქვეყნდება და ჩვენებურთა პირველი მეტოქეების შესახებ შევიტყობთ. მანამდე კი იმ სხვა ქართველი ჩოგბურთელებისა ვთქვათ, ამ კვირაში რანგით გაცილებით დაბალ, ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე რომ თამაშობენ.

ჩვენი სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე გერმანიის ქალაქ ნუსლოხის ჭერქვეშა ხალიჩაზე 15 ათასიან ტურნირზე ცდის ბედს და ძირითად ბედაში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ლამობს. ლადო, ვისაც ამ წუთისთვის ATP-ის რეიტინგში 760-ე ადგილი უკავია, პირველ წრეში თავისუფალი იყო. მეორე წრეში კი ჩვენებურს მეტოქედ კორტის მასპინძელი, 19 წლისა და კლასიფიკაციაში 1139-ე პოზიციაზე მყოფი პატრიკ ტაუბერტი ჰყავდა. ჩიხლაძემ იოლად — 6:0 7:5 მოიგო და ძირითად ბედაში გადასასვლელ გადამწყვეტ შეხვედრაში კიდევ ერთ გერმანელს საშა კლოერს შეხვდება, ვინაც მანამდე 7:6 6:3 სძლია თავისავე თანამემამულეს პატრიკ კუნს.

სამი ქართველი თამაშობდა ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპას ჰარდზე მიმდინარე ქალთა 25 ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ამ სამიდან პირველი ბარიერის დაძლევა მხოლოდ ერთმა [illegible] მოახერხა. 16 წლის [illegible] WTA-ს მიმდინარე რეიტინგში [illegible] 300 ადგილი უჭირავს, თავისზე ორი წლით უმცროს ამერიკელ კრისტინა მაკჰეილს 6:1 6:2 სძლია და მეორე წრეში კიდევ ერთ მასპინძელს, 25 წლისა და კლასიფიკაციაში 1134-ე ადგილზე მყოფ ჯოდი კენოირს შეხვდება.

სამწუხაროდ, პირველივე მატჩები წააგეს სოფო მელიქიშვილმა და სალომე დევიძემ. რეიტინგში 540-ე პოზიციაზე მყოფი სოფო 5:7 2:6 დამარცხდა მექსიკელ მელისა ტორეს-სენდოვალთან, ვინც კლასიფიკაციაში 389-ე საფეხურზეა, ხოლო დევიძეს (რეიტინგში 693-ე პოზიცია) კლასიფიკაციის 604-ე ნომერმა, 21 წლის კოლუმბიელმა პაულა ზაბალამ 6:1 7:5 მოუგო.

# უეჭველი ენინი და საეჭვო ნადალი

**დამდეგ** ორშაბათს მელბურნის კორტებზე სეზონის პირველი სლემტურნირი იწყება და მთელ საჩოგბურთო ელიტას თავი მწვანე კონტინენტზე მოუყრია. ტურნირი ჯერ არ დაწყებულა, დანაკლისები კი უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია.



ჟუსტინ ენინის არდენობას წერტილი დაესვა

უმთავრესი პირველობის შარშანწინდელი გამარჯვებულისა და შარშანდელი ფინალისტის ჟუსტინ ენენ-არდენის არყოფნა იქნება, რომელმაც პირადი პრობლემების გამო უარი განაცხადა მელბურნში ჩასვლაზე:

„ოჯახური პრობლემების გამო ვერ შევძლებ ავსტრალიაში ჩასვლას. იმედი მაქვს, ჩემი გულშემატკივრები გაგებით მოეკიდებიან ამ გადაწყვეტილებას — ახლა სულ სხვა საზრუნავი მაქვს, რაც მთლიანად მოითხოვს ჩემს ყურადღებას" — ნათქვამია გულშემატკივრებისადმი ენინის ოფიციალურ მიმართვაში.

ოდნავ მოგვიანებით კი ბელგიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ენინი მეუღლეს, პიერ-ივ არდენს შორდება და ავსტრალიაში თამაშზე უარის მიზეზიც ეს უნდა იყოს.

ავსტრალიის ღია პირველობის დანაკლისები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება — ვარჯიშზე მიღებული ფეხის ტრავმის გამო მელბურნის კორტებზე თამაშს ვერც ვეტერანი ტიმ ჰენმანი შეძლებს. 32 წლის ბრიტანელი შარშან კი ამბობდა, კარიერის დამთავრებას ვაპირებო, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში გადაიფიქრა და წლის პირველი სლემტურნირისთვის მზადებაც დაიწყო, მაგრამ ახლა გეგმების შეცვლა მოუწევს.

„აქამდე მხოლოდ ორი სლემტურნირი გამოვტოვე, სამაგიეროდ, 45 ვითამაშე — ვფიქრობ, ცუდი მაჩვენებელი არაა. ამჯერად კი დასვენება მომიწევს. არადა, სიამოვნებით ჩავიდოდი ავსტრალიაში და იქაურ მცხუნვარე მზესაც მივეფიცხებოდი, მაგრამ რას იზამ, ამ წყეული ტრავმის გამო დამატებით რამდენიმე კვირის გაცდენა მომიწევს" — აშკარად გულნატკენია ჰენმანი.

მელბურნში თამაშს ვერც შარშანდელი ნახევარფინალისტი ნიკლას კიფერი შეძლებს. გერმანელს ჯერაც ვერ მოუშუშებია „როლან გაროსზე" მიღებული მაჯის ტრავმა — კიფერს ვერც ორმა ოპერაციამ უშველა და შედეგად, ტურნირმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა.

კიდევ უფრო დიდია იმათი რაოდენობა, ვისი ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშიც ეჭვქვეშაა — ამ კატეგორიაში ისეთი ბობოლებია, როგორებიც რაფაელ ნადალი, ლეიტონ ჰიუიტი, ნადია პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა არიან.

ნადალის ამბებით დავიწყოთ, რომლის პრობლემების შესახებაც მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი — ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ სიდნეიში ტრავმის გამო ვერ მოახერხა მასპინძელ კრის გუჩიონესთან თამაშის დამთავრება. თუმცა თუ მალიორკელს ვენდობით, ტრავმა არც ისე სერიოზულია და მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით შეწყვიტა შეხვედრა:

„ფეხში ტკივილი ვიგრძენი და ამიტომაც ტრავმის გამიზეზებას მოვერიდე. მით უმეტეს, ექიმმა გამაფრთხილა, რომ ამის სერიოზული საშიშროება იყო. მინდა, ავსტრალიის ღია პირველობას 100 პროცენტით მომზადებული შევხვდე, ამიტომ გადავწყვიტე, თავს გავფრთხილებოდი" — განაცხადა ნამატჩევს ნადალმა და ამით ბევრი გულშემატკივარი დაამშვიდა.

შეგახსენებთ, რომ ესპანელმა შარშან სწორედ ტრავმის გამო ვერ მოახერხა ავსტრალიაში თამაში. იმედი ვიქონიოთ, რომ ნადალი წლეულს მაინც შეძლებს მელბურნის კორტებზე გასვლას.

პრობლემები არ ელევა მასპინძელთა უმთავრეს იმედ ლეიტონ ჰიუიტს — ოზ ბიჭს ქუსლის ტრავმა აწუხებს და ამის გამო ნადალის მსგავსად ვერ შეძლო სიდნეიში თამაში. ამას ისიც დაემატა, რომ ათიოდ დღის წინ ლეიტონი მწვრთნელმა, როჯერ რაშიდმა მიატოვა, მიზეზად კი ჰიუიტის გარშემო არსებული არაჯანსაღი გარემო დაასახელა.

როგორც ჩანს, ავსტრალიელის გარემოცვაში მართლაც არ არის ყველაფერი რიგზე, რადგანაც ჰიუიტს გაწვრთნაზე პატრიკ რაფტერმაც უარი შეუთვალა. ამის გამო ლეიტონმა თავისი არჩევანი ყოფილ ჩოგბურთელ სკოტ დრეიპერზე შეაჩერა. მოკლედ, მშობლიურ სლემტურნირს ჰიუიტი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ხვდება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური კუთხით.

არის შანსი, რომ რუსთა, როგორც ყოველთვის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, საკმაოდ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადოს, რადგან მთლად ჯანზე ვერ არიან ნადია პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა. განსაკუთრებით ცუდად ეს უკანასკნელი ყოფილა — ჰონგ კონგის საჩვენებელ ტურნირზეც ვერ ითამაშა და ვერც სიდნეიში ჩაამთავრა შეხვედრა. ჰოფმანის თასის მომგები ნადია პეტროვა კი მუცელს შეუწუხებია და ამის გამო შეწყვიტა თავისი მატჩი.

მელბურნში ალბათ მაინც ორივე რუსი ითამაშებს — სხვა საქმეა, რა ფორმაში იქნებიან, მაგრამ იქაურ კორტებზე უეჭველად გავლენ.

**კახა ლომაშვილი**



AFP

# შე ვირო, შენა...

ეს 29-ე დაკარის ფოტოებია. ასე მოხდა, რომ ფრანგების „ნისანს“ გზა მეთულუხჩეთა ვირებმა გადაუკეტეს ხროკეებში, ნადორსა და ერ რაშიდიას შორის. ვერტმფრენიდან კი კარგად ჩანს ასევე ფრანგის, ლუკ ალპანის უდაბნოში მქროლავი „მიცუბისი“. საერთო ჩათვლას კი ესპანელი კარლოს საინსი ლიდერობს თავისი „ფოლკსვაგენით“.



AFP



AFP ასოშეიეტიდ პრესი

# ყირა, მარა...

ეს შვეიცარიელი ცად ყირამალა კი გაყინულა, მაგრამ მხოლოდ მეოთხე ადგილზე გასულა ფრისტაილში კანადის დიდი პრიზის გათამაშებაში. თუ ტომას ლამბერი მეოთხე იყო, პირველი რას იფრენდა, იოლი წარმოსადგენია.

# კოვბოები ნიუ იორკში

როდეო თვით „მედისონ სკვერ გარდენში“ მოსულა და ორდღიან „ვერსუს ინტერნეშენლზე“ შეუკრებია ნიუიორკელები. ოკლაჰომელ და კანზასელ ბიჭებს კი უჩაუქიათ, თუმცა არც ხარები დარჩენიან ვალში.




AFP ნიუ იორკიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თარმალა კულიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge